პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი
№ 280 (10977)
ხუთშაბათი, 28 ნოემბერი, 1957 წ.
ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

საბჭოთა ადამიანები პატრიოტული შრომით განამტკიცებენ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს (1-ლი გვერდი).

ქალაქ მოსკოვის პარტიული აქტივის კრება მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს (1-ლი გვერდი).

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამის" მთავარ რედაქტორთან მოჰამედ ჰასანეინ ჰეიკალთან (მე-2 გვერდი).

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის (მე-3 გვერდი).

ს. ქოჩლაძე. — ახმეტელ მეცხვარეთა შრომითი წარმატება (მე-3 გვერდი).

გ. პონომარიოვი. — [illegible] სასწაული (მე-3 გვერდი).

გ. დაშნიანი. — [illegible] დაბალხარისხოვნად (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

ჟურნალ-გაზეთები მასებში!

საბჭოთა პრესა, რომელიც წარმატებით ასრულებს სახალხო პრესის კეთილშობილურ როლს, ზრდიდა და ზრდის ფართო მასებს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისძლე იდეებისადმი ერთგულების სულისკვეთებით, რაზმავს მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად.

ბეჭდვითი სიტყვის როლი და მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია ახლა, როცა მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით იბრძვის პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებისათვის, როცა სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის მგზნებარე სიტყვებით აღფრთოვანებული საბჭოთა ადამიანები ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

პრესის ბრძოლისუნარიანობა, მისი ორგანიზატორული როლის შემდგომი ზრდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ არის დაყენებული ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ პერიოდულ გამოცემათა გავრცელება, როგორ არის მოწყობილი ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა.

ამჟამად, ისე როგორც ყველგან, ჩვენს რესპუბლიკაშიც ფართოდ არის გაშლილი ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე 1958 წლისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა და კვლავაც იზრდება ცენტრალურ, რესპუბლიკურ და ადგილობრივ გამოცემათა როგორც რაოდენობა, ისე ტირაჟი, ნათელი გახდება, რაოდენ პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან ახლა არა მარტო „სოიუზპეჩატის" და კავშირგაბმულობის ორგანოები, მათი რწმუნებულები, არამედ ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოებიც, რომლებიც ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ პოლიტიკური კამპანიის ორგანიზებულად ჩატარება.

მართალია, წელს წინა წლებთან შედარებით ჩვენს რესპუბლიკაში უკეთ მოემზადნენ პრესის გავრცელების წარმატებით ჩატარებისათვის, მაგრამ როგორც ფაქტები მოწმობენ, ეს კამპანია ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს, ამ საქმეს ყველგან ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

20 ნოემბრისათვის ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებზე რესპუბლიკაში ხელმოწერის გეგმა შესრულებული იყო 69,1 პროცენტით, რესპუბლიკურ ჟურნალ-გაზეთებზე — 51,4 პროცენტით, ხოლო ყველა სახის გამოცემებზე ამავე რიცხვისათვის ხელმოწერის გეგმა რესპუბლიკაში შესრულებულია 54,4 პროცენტით. ცუდად მიმდინარეობს ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა ახალქალაქის, ხობის, თიანეთის, წალენჯიხისა და ჭიათურის რაიონებში.

ცენტრალური გამოცემებიდან ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად ვრცელდება გაზეთი „სელსკოე ხოზიაისტვო", ჟურნალები „ვოპროსი ლიტერატური", „მაშინოსტროიტელ", „სოვეტსკაია პეჩატ", „ტრანსპორტნოე სტროიტელსტვო". რესპუბლიკური გამოცემებიდან სუსტად ვრცელდება „ლიტერატურული გაზეთი", „აგიტატორის ბლოკნოტი" როგორც ქართულ, ისე რუსულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, „ლიტერატურნაია გრუზია".

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ხელმოწერა რაიონულ გაზეთებზეც. მაგალითად, 20 ნოემბრისათვის ადგილობრივი გაზეთი ლენტეხის რაიონში 1.400-ის ნაცვლად გავრცელებული იყო 67 ცალი, ქარელის რაიონში 1.700-ის ნაცვლად 120 ცალი. ამ მხრივ მარნეულისა და აბაშის რაიონებიც ჩამორჩნენ.

ეჭვს გარეშეა, პრესის გავრცელებაში არსებული ჩამორჩენა ძირითადად იმით უნდა აიხსნას, რომ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ამ მნიშვნელოვან პოლიტიკურ კამპანიას თვითდინებას ანდობენ, კავშირგაბმულობის ორგანოებსა და მათ რწმუნებულებს სათანადო დახმარებას არ უწევენ.

ამჟამად, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ არის გაშლილი ბრძოლა სოციალისტური სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობის უზრუნველსაყოფად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს პრესის გავრცელებას სოფლად. სპეციალისტებს, აგრონომებს, ზოოტექნიკოსებს, მექანიზატორებს, ბრიგადირებს, ყველა კოლმეურნეს მოეთხოვებათ განუხრელად იმდიდრებდნენ ცოდნას, ეუფლებოდნენ საბჭოთა მეცნიერების მიღწევებს სოფლის მეურნეობის დარგში, ეცნობოდნენ და ნერგავდნენ მოწინავე პრაქტიკოსთა გამოცდილებას. ამ საქმეში მათ უაღრესად დიდ დახმარებას გაუწევს პრესა, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო ხასიათის ჟურნალ-გაზეთები.

პრესის გავრცელების წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული თვით ჟურნალებისა და გაზეთების რედაქციების საქმიანობაზე. ადგილობრივ გამოცემათა გავრცელებაში არსებული ნაკლოვანებანი იმითაც აიხსნება, რომ ზოგიერთი ჟურნალისა და გაზეთის იდეური დონე დაბალია, მათ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები უფერულია და ვერ აკმაყოფილებს მკითხველთა გაზრდილ მოთხოვნილებას. ამასთან ცოტა როდი შეიძლება დავასახელოთ მაგალითი, როცა ზოგიერთი ჟურნალი და გაზეთი რედაქციების ან სტამბების დაუდევარი მუშაობის შედეგად დაწესებული გრაფიკის დარღვევით გამოდის და დიდი დაგვიანებით ხვდება მკითხველს. ყოველივე ეს იმას იწვევს, რომ ცალკე გამოცემებს ელახებათ ავტორიტეტი, ძნელი ხდება მათი ტირაჟების გავრცელება.

მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდული გაზეთები. როგორც ცნობილია, გაზეთები „ახალგაზრდა კომუნისტი" და „მოლოდოი სტალინეცი" წლების მანძილზე არადამაკმაყოფილებლად ვრცელდებოდა. უეჭველია, ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ აღნიშნული გაზეთები ვერ იზიდავდნენ მკითხველებს, მოსაწყენად და სუსტად აშუქებდნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის ცხოვრებას. მათი ცალკე ნომრები გემოვნებით არ ფორმდებოდა, იბეჭდებოდა დაგვიანებით. გასული წლიდან ამ გაზეთებმა შესამჩნევად გააუმჯობესეს მუშაობა. რასაც შედეგად ის მოჰყვა, რომ გასულ და მიმდინარე წელს ისინი წარმატებით ვრცელდება. ამჟამად მკითხველები მოითხოვენ გადიდებულ იქნას ამ გაზეთების ტირაჟი.

ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანია დასასრულს უახლოვდება. დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ პრესის გავრცელებაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსათხვრელად. მთავარია მივაღწიოთ იმას, რომ არც ერთი მკითხველი არ დარჩეს ჟურნალისა და გაზეთის გამოუწერლად.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, კავშირგაბმულობის თვითეული მუშაკის გადაუდებელი ამოცანაა უზრუნველყონ ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერის კამპანიის წარმატებით ჩატარება.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ზ. ა. კვაჭაძის საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ზინაიდა არსენის ასული კვაჭაძე საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრის თანამდებობიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ამხ. მიხეილ ბაგრატის-ძე ღვინჯილია საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
მ. ჩუბინიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1957 წლის 27 ნოემბერი.

საბჭოთა ადამიანები პატრიოტული შრომით განამტკიცებენ მშვიდობისა და სოციალიზმის საქმეს

★

მშვიდობის ძალები უძლეველი არიან

სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის საექსპერიმენტო ბაზის მუშა-მოსამსახურეები და მეცნიერი მუშაკები გულდასმით გავეცანით სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს. ამ დიდი მნიშვნელობის პოლიტიკურ დოკუმენტებში მოცემულია საერთაშორისო მდგომარეობის ღრმა ანალიზი. ჩვენი დიადი სამშობლოს წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ორმოცი წლის მანძილზე, და სოციალისტური ქვეყნების მიერ მიღწეული შედეგები მთელი სიცხადით ადასტურებენ სოციალიზმის დიდ ცხოველმყოფელობას.

იმპერიალისტები ემზადებიან საშინელი გამანადგურებელი ომისათვის, მაგრამ მათი ცდა ამაოა, ომის გამჩაღებლები საკადრის პასუხს მიიღებენ. მშვიდობის ძალები უძლეველი არიან. მთელი მსოფლიოს მოსახლეობის მესამედზე მეტი წარმატებით აშენებს სოციალიზმს.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერი მუშაკები, არ დავზოგავთ ძალასა და ენერგიას იმისათვის, რომ კიდევ უფრო განვამტკიცოთ საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერება. ექსპერიმენტული ბაზის მთელი კოლექტივი ახალი ძალით გაშლის მუშაობას ხილის მოსავლიანობის გადიდებისა და ახალი უხვმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისათვის.

ს. შარაშენიძე,
გორის რაიონის სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის საექსპერიმენტო ბაზის გამგე, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

კოლმეურნეთა მოწონება

ჩხოროწყუ. **(საკ. კორ.).** მთის სოფელ ნაფიჩხოვოში დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი რადიოთი მოისმინეს. შემდეგ მოვიდა გაზეთები, რომლებშიც გამოქვეყნებული იყო ეს დოკუმენტები. კოლმეურნენი დიდი ინტერესით ეცნობიან და იწონებენ მათ. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ჯიქიამ განაცხადა:

— მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ნაფიჩხოვოს კოლმეურნენი დიდი სიხარულით იწონებენ დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს. ამ დოკუმენტებში განსაკუთრებით ნათლად არის ჩამოყალიბებული მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანის სურვილი — ბოლომდე იბრძოლოს მშვიდობის დასაცავად.

რაიონის ყველა კოლმეურნეობაში დიდი ინტერესით ეცნობიან ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს. მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ მათ, სახავენ ღონისძიებებს მომავალი წლის უხვი მოსავლის მისაღებად.

თბილისის საწარმოთა კოლექტივები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს.

სურათებზე: ზევით — პლასტმასის ქარხნის საარმატურო საამქროს მოწინავე მუშა ნ. მაისურაძე მოქლონების გამოსაჭედ ჰორიზონტალურ ჩარხთან. ქვევით თქვენ ხედავთ ქარხანა „ელექტროგამშვების" ამწყობი საამქროს ახალგაზრდა მუშას, საინდუქციო კოჭების დამხვევ ე. კეფაშვილს, რომელსაც კეთილსინდისიერი შრომით წვლილი შეაქვს მშვიდობის ბურჯის — საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტები

ჩოხატაური. **(საკ. კორ.).** სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის ტექსტის გაცნობის შემდეგ სოფელ ხიდისთავის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ს. მეფარიშვილმა განაცხადა:

— სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი ცხადყოფენ მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის საქმის უძლეველობას. ჩვენი კოლმეურნეები ახალი შრომითი აღმავლობით უპასუხებენ ამ ისტორიულ დოკუმენტებს, ერთსულოვნად კისრულობენ ჩაის პლანტაციებში საშემოდგომო-საზამთრო სამუშაოები დაამთავრონ 25 თებერვლამდე, ჰექტარი პლანტაციის დამუშავებაზე შრომის დანახარჯები შეამცირონ 5 პროცენტით, შექმნან ყველა პირობა 1958 წელს ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის.

კიდევ უფრო გავამრავლებთ მიღწევებს

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშები და მოსამსახურეები მხურვალედ იწონებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს. განსაკუთრებით ცოცხლად მოეწყო საუბარი ქარხნის ამწყობ საამქროში. ეს მნიშვნელოვანი დოკუმენტები მუშებს გააცნო აგიტატორმა ს. მუმლაძემ.

სიტყვას იღებს ინჟინერი შ. ლეჟავა. იგი ამბობს: — სიხარულის გრძნობა, სოციალიზმის ძალებისადმი ღრმა რწმენა გიპყრობს ადამიანს, როცა კითხულობ ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტებს, რომლებშიც შესანიშნავი თანმიმდევრობით მოცემულია მსოფლიოში ძალთა თანაფარდობის ღრმა ანალიზი, დასახულია მუშათა მოძრაობის შემდგომი განვითარების პროგრამა. მანიფესტში ხაზგასმულია, რომ მშვიდობისათვის ბრძოლა ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. მისი გადაწყვეტა შეიძლება სოციალისტური სახელმწიფოების, ყველა ქვეყნის კომუნისტური და მუშათა პარტიების ძმური თანამშრომლობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პირობებში. ჩვენი ვალია ვიმუშაოთ ბეჯითად, ვამრავლოთ საწარმოო მიღწევები, რათა კიდევ უფრო ძლიერი გახდეს ჩვენი საყვარელი სამშობლო — მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და სოციალიზმის ურყევი ბურჯი.

ერთსულოვნად მოიწონა რა ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები, თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კოლექტივმა გამოთქვა მზადყოფნა — განამტკიცოს მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა სხვა ქვეყნების მშრომელებთან, ყველასთან, ვინც მშვიდობის საქმის ერთგულია.

ქალაქ მოსკოვის პარტიული აქტივის კრება მხურვალედ იწონებს და ერთსულოვნად უჭერს მხარს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს

26 ნოემბერს გაიმართა დედაქალაქის პარტიული აქტივის კრება. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის დარბაზში შეიკრიბა დაახლოებით 13 ათასი კაცი — მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები.

მოხსენება კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირის შედეგების შესახებ გააკეთა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ე. ა. ფურცევამ.

— დიდი ოქტომბრის 40 წლისთავის დღესასწაულზე — თქვა ამხ. ფურცევამ, — ჩამოვიდნენ მსოფლიოს თითქმის ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიების დელეგაციები. ამ შესანიშნავმა ფაქტმა ცხადყო მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობა, მათი სიყვარული და მადლობა სოციალიზმის პირველი ქვეყნისადმი, ჩვენი ლენინური პარტიისადმი.

მომხსენებელი ამბობს, რომ ძმური პარტიების წარმომადგენლებმა თავისი ყოფნა მოსკოვში გამოიყენეს ურთიერთინფორმაციისათვის, საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალური პრობლემების და მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის ამოცანების განსახილველად. თათბირმა, რომელზეც განხილულ იქნა ყველა ეს საკითხი, კოლექტიურად შეიმუშავა დიდი მნიშვნელობის ორი დოკუმენტი — სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი. ორივე ეს დოკუმენტი წარმოადგენს უდიდესი მამობილიზებელი და მაორგანიზებელი ძალის დოკუმენტს.

ამხ. ფურცევამ თავის მოხსენებაში დაწვრილებით გააშუქა დეკლარაციისა და მშვიდობის მანიფესტის ძირითადი დებულებანი.

ამხ. ე. ა. ფურცევას მოხსენების გამო კამათში აზრი გამოთქვა 13 კაცმა. ყველა ორატორმა მხურვალედ მოიწონა და ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დეკლარაციასა და მშვიდობის მანიფესტს.

ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც კრების მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ.

ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ქალაქ მოსკოვის პარტიული აქტივის კრებამ მთლიანად და სავსებით მოიწონა თათბირების მუშაობა და მათ მიერ მიღებული ისტორიული დოკუმენტები — დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი.

აქტივის კრებამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს აღუთქვა, რომ საქალაქო პარტიული ორგანიზაცია მოსკოველ მშრომელებს დარაზმავს ჩვენი სოციალისტური სამშობლოს — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის ბურჯის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, მეექვსე ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის.

მოსკოვის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია კვლავაც იქნება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საიმედო დასაყრდენი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

აქტივის კრება დამთავრდა პარტიული ჰიმნის — „ინტერნაციონალის" შესრულებით. (საქდესი).

დედამიწის ხელოვნურ თანამგზავრთა მოძრაობის შესახებ

27 ნოემბრის დილის 6 საათისათვის დედამიწის მეორე ხელოვნურმა თანამგზავრმა 334-ჯერ შემოუარა დედამიწას.

პირველმა ხელოვნურმა თანამგზავრმა და მისმა მატარებელმა რაკეტმა ამ ხანში დედამიწას შემოუარეს შესაბამისად 805 და 814-ჯერ.

მოწმენდილ ამინდში დედამიწის მეორე ხელოვნური თანამგზავრი შეიძლება შეუიარაღებელი თვალით დავინახოთ მზის ამოსვლის წინ ჩრდილოეთ განედის 57 გრადუსიდან 64 გრადუსამდე და მზის ჩასვლის შემდეგ სამხრეთ განედის 27 გრადუსიდან 56 გრადუსამდე.

პირველი თანამგზავრის მატარებელი რაკეტი შეიძლება დავინახოთ მზის ჩასვლის შემდეგ ჩრდილოეთ განედის 0 გრადუსიდან 55 გრადუსამდე და მზის ამოსვლის წინ სამხრეთ განედის 0 გრადუსიდან 65 გრადუსამდე (საქდესი).

აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ შეასრულა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა

აფხაზეთის მეაბრეშუმეებმა 25 ნოემბრისათვის შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა. (საქდესი).

ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია თბილისში

ორი დღის განმავლობაში ეცნობოდა საქართველოს მშრომელთა ცხოვრებას ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი სუდისმანი (დელეგაციის ხელმძღვანელი), ინდონეზიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ს. უტარიო და ინდონეზიის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ა. რ. ნუნგჩიკი.

დელეგაცია იყო თბილისის ჩაისსაწონ ფაბრიკაში, აქ მას აინტერესებდა ჩაის წარმოების ტექნოლოგია, მუშების შრომისა და დასვენების პირობების გაცნობა.

26 ნოემბერს დელეგაცია გაემგზავრა გორში, სადაც ინახულა ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

ძმური, გულითადი შეხვედრა მოუწყეს ინდონეზიის პარტიული დელეგაციის წევრებს გორის რაიონის სოფელ ხიდისთავის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა. სტუმრებს აინტერესებდათ კოლექტიური სოფლის მეურნეობის მართვის პრინციპები, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების საკითხები, არტელის შემოსავალი.

სიტყვა წარმოთქვა რა საპატიო სტუმრებისათვის გამართულ სადილზე, დელეგაციის ხელმძღვანელმა სუდისმანმა მაღალი შეფასება მისცა კოლმეურნეობის მიღწევებს.

— თქვენი კოლექტიური მეურნეობის მაგალითი, თქვა მან, გვიჩვენებს რის მიღწევა შეუძლია მშრომელ ხალხს, როცა იგი თავისი ქვეყნის სრული ბატონპატრონია, როდესაც მას ხელმძღვანელობს მარქსისტულ-ლენინური პარტია, რომლისთვისაც მშრომელი ხალხის ინტერესები ყველაზე ძვირფასია!

გუშინ დელეგაციის წევრები ეწვივნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის რექტორთან აკადემიკოს ვ. დ. კუპრაძესთან საუბარში სტუმრები დაინტერესდნენ უმაღლესი განათლების განვითარებით რესპუბლიკაში.

უნივერსიტეტში ყოფნის შემდეგ დელეგაცია ეწვია 23-ე საშუალო სკოლას. შესასვლელთან თავმოყრილი მოსწავლეები მხურვალედ მიესალმნენ შორეული ინდონეზიის ხალხის წარმომადგენლებს. პედაგოგებმა უამბეს მათ როგორია სახალხო განათლების სისტემა საბჭოთა კავშირში.

საღამოს, 27 ნოემბერს, ინდონეზიის კომუნისტური პარტიის დელეგაცია მატარებლით გაემგზავრა ბაქოში. თბილისის ვაგზალზე დელეგაცია გააცილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელმა მუშაკებმა, პრესის წარმომადგენლებმა. (საქდესი).

თბილისიდან გაემგზავრა „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის" საზოგადოების დელეგაცია

ერთ კვირას იყო საქართველოში სტუმრად „ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის" საზოგადოების დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ერთთვიურთან დაკავშირებით.

დელეგაციის წევრები გაეცნენ საქართველოს მშრომელთა სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებას, იყვნენ რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებსა და სოფლებში, დაინტერესდნენ სამრეწველო საწარმოებისა და კოლმეურნეობების მუშაობით, ჰქონდათ შეხვედრები მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებთან.

გუშინ, 27 ნოემბერს დელეგაცია თვითმფრინავით გაემგზავრა მოსკოვში. თბილისის აეროდრომზე სტუმრები გააცილეს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარემ ვ. ქოჩორაძემ, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლებმა.

გაუზიარა რა საქდესის კორესპონდენტს საუბარში თავისი შთაბეჭდილებანი, დელეგაციის ხელმძღვანელმა მწერალმა მარიამ კოტიატკოვამ განაცხადა:

— საქართველოში ყოფნა, მისი შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხის გაცნობა სამუდამოდ დაგვრჩება მეხსიერებაში. ჩვენ ყველგან ძმურად, გულითადად და იშვიათი სტუმართმოყვარეობით გვხვდებოდნენ. გვეპყრობოდნენ როგორც ღვიძლ ძმებსა და დებს. თქვენი რესპუბლიკის მშრომელებთან შეხვედრებმა დაგვარწმუნა, რომ საბჭოთა ადამიანები ულრმესი, უაღრესად გულწრფელი მეგობრობისა და სიყვარულის გრძნობით არიან გამსჭვალული ჩეხოსლოვაკიის ხალხისადმი. ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ საბჭოთა ხალხი ჩვენი ყველაზე ერთგული და უანგარო მეგობარია. **(საქდესი).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვის საუბარი

ეგვიპტის გაზეთ «ალ-აჰრამის» მთავარ რედაქტორთან მოჰამედ ჰასანეინ ჰეიკალთან

18 ნოემბერს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ეგვიპტის გაზეთ „ალ-აჰრამის“ მთავარი რედაქტორი მოჰამედ ჰასანეინ ჰეიკალი მისი თხოვნით და საუბარი ჰქონდა მასთან.

ქვემოთ ქვეყნდება მ. ჰ. ჰეიკალის კითხვები და ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი.

კითხვა: როგორია ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკის მიზნები?

პასუხი: მოკლედ თუ ვიტყვით, ახლო და შუა აღმოსავლეთის მიმართ საბჭოთა კავშირის პოლიტიკა არაფრით არ განსხვავდება ყველა ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების მისი პოლიტიკისაგან. ჩვენ ვახორციელებთ სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას, მიუხედავად მათი სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა, ვემხრობით მშვიდობის განმტკიცებას მთელ მსოფლიოში.

ასეთია ჩვენი საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ახლო და შუა აღმოსავლეთს ამჟამად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მსოფლიო პოლიტიკაში. ამ რაიონის ხალხები დიდხანს იმყოფებოდნენ კოლონიური უღლის ქვეშ, ახლა ზოგიერთი მათგანი განთავისუფლდა კოლონიური ბატონობისაგან, სხვები კი ეწევიან ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის. იმ ქვეყნებიდან, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს, ჯერ კიდევ ყველას როდი მიუღწევია ნამდვილი თავისუფლებისათვის, ჯერ კიდევ ყველას როდი უზრუნველუყვია თავისთვის პოლიტიკური დამოუკიდებლობა. ზოგიერთ ქვეყნებში, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს, მმართველ წრეებში ჯერ კიდევ ძლიერი გავლენა აქვთ ადამიანებს, რომლებიც იმავე კოლონიზატორთა ინტერესების შესაბამის პოლიტიკას ახორციელებენ.

ჩვენ თანაგრძნობით ვეკიდებით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ხელი შევუწყოთ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების დამოუკიდებლობის განმტკიცებას, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ ქვეყნების ხალხებმა ეკონომიური დამოუკიდებლობაც მოიპოვონ. ჩვენ გვსურს ხელი შევუწყოთ ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ეკონომიკისა და კულტურის ამაღლებას, რათა ისინი ნამდვილად ვითარდებოდნენ როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ჩვენ გვსურს განვავითაროთ ჩვენი ურთიერთობა არაბთა სახელმწიფოებთან ისე, რომ ზუსტად ვიცავდეთ თანაარსებობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის ლენინურ პოლიტიკას.

კითხვა: თქვენი აზრით როგორია შუა აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობის ნამდვილი მიზეზები?

პასუხი: დაძაბულობის მიზეზებად ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი. ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის შედეგად კოლონიზატორები იძულებული გახდნენ დათმობაზე წასულიყვნენ, ამასთან იმპერიალისტები, განსაკუთრებით ინგლისელი იმპერიალისტები, ერთგვარი ბაქიობითაც კი აცხადებენ, რომ მათ, თურმე ნუ იტყვით, ანგარიში გაუწიეს კოლონიურ ხალხებს და დამოუკიდებლობა მიანიჭეს მათ. მაგრამ ასეთი განცხადებანი ნავარაუდევია პოლიტიკაში გამოუცდელი ადამიანებისათვის. ნამდვილად იმპერიალისტები იძულებული გახდნენ ამა თუ იმ დათმობაზე წასულიყვნენ, იმიტომ რომ მათ აღარ შეეძლოთ მორჩილებაში ჰყოლოდათ ხალხები და განეგრძოთ მართვა ძველი კოლონიური მეთოდებით. მათ მიიჩნიეს, რომ უმჯობესი იყო არ მიეყვანათ საქმე კრიზისამდე და არ დალოდებოდნენ, სანამ მათ შეიარაღებული აჯანყების გზით განდევნიდნენ.

უნდათ რა მოგვაჩვენონ, რომ ისინი მიდიან თავიანთი ყოფილი კოლონიებიდან, იმპერიალისტები ცდილობენ შეინარჩუნონ იქ თავიანთი გავლენა, მაგრამ უფრო შენიღბულად, რათა ყოფილ კოლონიურ ქვეყნებში ხალხებს მართავდეს უკვე, ვთქვათ, არა ინგლისელი გუბერნატორი, არამედ ხელისუფლების სათავეში იმყოფებოდნენ იმპერიალისტების მიერ მოსყიდული ადგილობრივი ადამიანები, რომლებიც განახორციელებენ იმპერიალისტებისათვის სასურველ პოლიტიკას. ამრიგად, კოლონიზატორები თითქოს ანგარიშს უწევენ ხალხების მისწრაფებებს, არსებითად კი კვლავ კოლონიურ დამოკიდებულებაში ამყოფებენ მთელი რიგი ქვეყნების ხალხებს.

მაგრამ ხალხებს, რომლებმაც დამოუკიდებლობა მიიღეს, სურთ ნამდვილად განამტკიცონ თავიანთი მონაპოვარნი. ეს იწვევს მათს შეჯახებას კოლონიზატორების ინტერესებთან, წარმოებს ბრძოლა. განთავისუფლდნენ რა კოლონიური ჩაგვრისაგან, ხალხებს სურთ შექმნან მთავრობები, რომლებიც ნამდვილად იქნებიან თავიანთი ხალხის ნებისა და მისწრაფებების გამომხატველნი. კოლონიზატორებს არ მოსწონთ ასეთი მთავრობები, ცდილობენ დაამხონ ისინი და დააყენონ ისეთი მთავრობები, რომლებიც მათდამი დაქვემდებარებული იქნებიან. ეს არის ერთ-ერთი მიზეზი კოლონიზატორთა ბრძოლისა არაბული აღმოსავლეთის ხალხების წინააღმდეგ და, უწინარეს ყოვლისა, ეგვიპტისა და სირიის წინააღმდეგ, რომლებიც აქტიურ ბრძოლას ეწევიან კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ეგვიპტისა და სირიის მთავრობები ილაშქრებენ თავიანთ საშინაო საქმეებში სხვა სახელმწიფოების ჩარევის წინააღმდეგ. რა თქმა უნდა, ეს იწვევს კოლონიზატორთა გაავთრებულ სიძულვილს, რომლებიც ბრძოლის ყველა საშუალებას იყენებენ: აწყობენ შეთქმულებებს, გზავნიან დივერსიულ რაზმებს, ცალკეულ აგენტებს მათთვის არასასურველ მოღვაწეთა მოკვლის მიზნით, ავრცელებენ სხვადასხვა ცილისმწამებლურ ხმებს.

ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონებს დიდი ბუნებრივი სიმდიდრე მოეპოვებათ და დიდი სტრატეგიული, საკვანძო მნიშვნელობა აქვთ. მაგალითად, ეგვიპტეს სუეცის არხი აქვს, იგი ისეთი ქვეყანაა, რომელიც მდებარეობს აზიასთან ევროპის დამაკავშირებელ გზაზე.

როცა ინგლისი, საფრანგეთი და ისრაელი თავს დაესხნენ ეგვიპტეს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გამოაცხადეს, რომ გმობენ ამ აგრესიას. მაგრამ სავსებით ცხადია, იმათ ნამდვილად რომ დაეგმოთ ეს აგრესია, ინგლისი და საფრანგეთი, რომლებიც ბევრ რამეში ამერიკის შეერთებულ შტატებზე არიან დამოკიდებულნი, ისრაელზე რომ აღარა ვთქვათ რა, რომელიც ამერიკის ნასუფრალით ცხოვრობს, წყნარად ისხდებოდნენ; ისინი ვერაფერს ვერ გაბედავდნენ. ნამდვილად ეს იყო მხოლოდ როლების განაწილება იმპერიალისტებს შორის. ვარაუდი ისეთი იყო, რომ, სანამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომები ექნებოდა და განიხილავდა შექმნილ მდგომარეობას, ამასობაში იმპერიალისტები დაამთავრებდნენ თავიანთ ბინძურ საქმეს და ეგვიპტეში დააყენებდნენ იმ არაბებისაგან შედგენილ მთავრობას, რომლებიც მზად იქნებოდნენ განეხორციელებინათ კოლონიზატორთა პოლიტიკა.

ეგვიპტის მხრივ, ყველა არაბი ხალხის მხრივ წინააღმდეგობის გაწევის, სხვა მშვიდობისმოყვარე ქვეყნების, მათ შორის საბჭოთა კავშირის, მოქმედების შედეგად ეს განზრახვა ჩაიფუშა. საბჭოთა კავშირმა განუცხადა ამერიკის შეერთებულ შტატებს, რომ თუ ისინი ნამდვილად დგანან ინგლის-საფრანგეთ-ისრაელის აგრესიის დაგმობისა და მისი აღკვეთის პოზიციაზე, საჭიროა განხორციელდეს ერთობლივი მოქმედება აგრესორთა წინააღმდეგ. ჩვენ ვიცოდით, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები, ეგვიპტეზე სამი ქვეყნის თავდასხმაში მათი ნამდვილი როლის გამო, არ მიიღებდნენ ჩვენს წინადადებას. მაგრამ, უარყვეს რა ჩვენი წინადადება, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა ამით გამოააშკარავეს თავიანთი არაგულწრფელი პოლიტიკა, ცხადყვეს, რომ ეს იყო იმისათვის ნავარაუდევი პოლიტიკა, რომ შეცდომაში შეეყვანათ არაბთა სამყარო და შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან მფარველობა გაუწიონ არაბთა ქვეყნებს. ამრიგად, ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბჭოთა კავშირმა, რომელმაც სერიოზულად გააფრთხილა აგრესორები, მცირე როლი როდი შეასრულა ეგვიპტეზე თავდასხმის აღკვეთაში.

როცა ფრანგი და ინგლისელი კოლონიზატორების პოლიტიკა დისკრედიტებული აღმოჩნდა, მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა გადაწყვიტეს შეექმნათ შთაბეჭდილება, რომ აპირებდნენ მიშველებოდნენ მათ, რისთვისაც წამოაყენეს, კერძოდ, ყბადაღებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური წრეების მხრივ ასეთი „დახმარება“, რომლის მიზანია იმპერიალისტთა გავლენის შენარჩუნება ახლო და შუა აღმოსავლეთში, მოგვაგონებს ვითომც დახმარებას, რომელსაც თოკი უწევს ჩამოხრჩობილს. ქმნიან რა მოჩვენებითობას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ინგლისისა და საფრანგეთის ინტერესებს, — ისინი ნამდვილად მთელი ძალებით ცდილობენ განდევნონ ინგლისი და საფრანგეთი ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან, ძირი გამოუთხარონ მათს გავლენას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, დაიკავონ მათი ადგილი. თავიანთი მიზნების მისაღწევად ისინი ახორციელებენ უფრო შენიღბულ კოლონიურ პოლიტიკას, ვიდრე ინგლისელი და ფრანგი კოლონიზატორები ახორციელებდნენ.

რას იწვევს ეს, ამას ვიეტნამის მაგალითი გვიჩვენებს. როცა იქ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდა, ამერიკელები გაძლიერებით აქეზებდნენ საფრანგეთს ვიეტნამის ხალხების წინააღმდეგ საბრძოლველად. ცნობილია, რომ ფრანგ კოლონიზატორებს ვიეტნამელი ხალხის მამაცური წინააღმდეგობის შედეგად ქანცი გამოელიათ და კრახი განიცადეს. ვიეტნამის ნახევარში, ესე იგი ჩრდილოეთ ნაწილში, დამყარდა სახალხო-დემოკრატიული ხელისუფლება, ხოლო ვიეტნამის სამხრეთ ნაწილში, საიდანაც ფრანგები აგრეთვე განდევნილ იქნენ, გაბატონებული მდგომარეობა ამერიკელებმა დაიკავეს.

ამერიკის შეერთებული შტატები ასეთსავე პოლიტიკას ახორციელებენ ალჟირის მიმართ, დგამენ რა ენერგიულ ნაბიჯებს ფრანგების განსადევნად, რათა დაიკავონ მათი ადგილი ალჟირში.

თუ საფრანგეთის მთავრობა ყურს არ დაუგდებს კეთილგონიერების ხმას და არ გადაწყვეტს ალჟირის პრობლემას როგორც ალჟირელი ხალხის ინტერესების, ისე საფრანგეთის ინტერესების გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტურ წრეებს შეუძლიათ ხელთ იგდონ ალჟირიც. მაგრამ საფრანგეთის ხარბმა იმპერიალისტურმა მონოპოლიებმა დაკარგეს საღი გონება და გადაეღობნენ ალჟირის საკითხის გადაწყვეტას.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველმა წრეებმა გამოაცხადეს ეგრეთწოდებული „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინა“, განაცხადეს რა, რომ ვერ მოითმენენ „ვაკუუმს“ ახლო და შუა აღმოსავლეთში. ვაკუუმის პოლიტიკა, თუ ამ სიტყვას გასაგებ ენაზე განვმარტავთ, ნიშნავს, რომ ამერიკელი იმპერიალისტები არა ცნობენ ხალხების უფლებას თვითონ გადაწყვიტონ თავიანთი ბედი ვისიმე მიერ მფარველობის გაუწევლად. მაგრამ ასეთი დრო სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს!

ამერიკელი იმპერიალისტები თავიანთ კოლონიზატორულ პოლიტიკას ახორციელებენ უფრო თანამედროვე ფორმებით, თუ შეიძლება ასე ითქვას, — თეთრი ხელთათმანებით, მაგრამ მათს მსხვერპლს ამით მდგომარეობა როდი უმსუბუქდება. ისინი ინგლისისა და საფრანგეთის იმპერიალიზმს სდევნიან ახლო და შუა აღმოსავლეთის რაიონიდან. ნავთობის სუნი მოქმედებს იმპერიალისტთა შეგნებაზე, ისინი სიდინჯეს კარგავენ და მზად არიან მიმართონ ყოველ საშუალებას, ოღონდ კი მდიდრდებოდნენ მონოპოლიები.

ამიტომ, როცა არაბთა ქვეყნებმა და პირველ რიგში ეგვიპტემ და სირიამ წინააღმდეგობა გაუწიეს ამერიკის იმპერიალიზმს, როცა „დალეს-ეიზენჰაუერის დოქტრინას“ საკადრისი პასუხი გასცეს, მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა მიიღეს გადაწყვეტილება დაემხოთ მათთვის არასასურველი მთავრობები. მათ იწყეს აჯანყების მზადება, არაბთა ქვეყნების შიგნით გამცემლების ძებნა. როცა ეს ვერ შეძლეს, ისინი შეეცადნენ მოეწყოთ იორდანიისა და ერაყის თავდასხმა სირიაზე. მაგრამ მათ ესეც ვერ შეძლეს, ვერ შეძლეს არა იმიტომ, რომ იორდანიისა და ერაყის მთავრობებმა არ ისურვეს ჩაბმულიყვნენ ამ ავანტიურაში, არამედ უმთავრესად იმიტომ, რომ მათ არა ჰქონდათ თავიანთი არმიების იმედი. მათ პირდაპირ განუცხადეს ამერიკელებს, ერაყისა და იორდანიის ჯარები რომ დაეძრათ, ეს ჯარები სირიისა და ეგვიპტის მხარეზე გადავლენო.

რაც შეეხება ისრაელს, ამერიკელებმა, რომლებმაც იცოდნენ, რომ მეტად არაპოპულარული იქნებოდა სირიაზე თავდასხმა ისრაელის მხრივ, თუმცა ეს უკანასკნელი ხალისით შეასრულებდა ამ ჟანდარმულ ფუნქციას, რომლებმაც იცოდნენ, რომ ისრაელის თავდასხმა არაბი ხალხების გულისწყრომასა და პროტესტებს გამოიწვევდა, უბრძანეს ისრაელს მჯდარიყო და არ განძრეულიყო. მათ გადაწყვიტეს სირიის წინააღმდეგ გამოეყენებინათ თურქეთი, მუსლიმანური ქვეყანა. მაგრამ ეს გეგმაც, როგორც თქვენ იცით, ჩაიფუშა იმ სიმტკიცის მეოხებით, რომელიც გამოიჩინეს არაბთა ქვეყნების და პირველ რიგში სირიისა და ეგვიპტის ხალხებმა, აგრეთვე სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების, მათ შორის სსრ კავშირის, მოქმედების მეოხებით.

საბჭოთა მთავრობამ გააკეთა სათანადო გაფრთხილება, განაცხადა რა, რომ თუ იმპერიალისტები გააჩაღებენ ომს ახლო და შუა აღმოსავლეთში, საბჭოთა კავშირი განზე ვერ დარჩება. ამასთან საბჭოთა კავშირი არ ისახავს არავითარ პოლიტიკურ და ეკონომიურ მიზნებს, ერთადერთი, რითაც იგი დაინტერესებულია, — ეს არის ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნება. საბჭოთა მთავრობამ გააკეთა ცნობილი განცხადებანი, და ჩვენ მიგვაჩნია, რომ, მშვიდობისმოყვარე ძალების ღონისძიებათა მეოხებით, იმ აგრესიის ჩაფუშვისათვის ბრძოლის პირველი ეტაპი, რომელიც სირიის წინააღმდეგ მზადდებოდა, წარმატებით დამთავრდა.

მაგრამ ფხიზელნი უნდა ვიყოთ, იმიტომ რომ კოლონიზატორებს მთლიანად არ დაუხევიათ უკან, იმიტომ რომ ნავთობი ისეთი ძალაა, რომელიც მაგნიტივით იზიდავს იმპერიალისტებს. ისინი დაიწყებენ სხვა საშუალებათა ძებნას, რათა თავიანთი გაიტანონ.

კაცმა რომ თქვას, ეს არის ახლო და შუა აღმოსავლეთში ახლანდელი დაძაბულობის მთავარი მიზეზები.

კითხვა: მინდა გავარკვიო ერთი მომენტი. ზოგიერთს ებადება კითხვა, რატომ მოქმედებდა საბჭოთა კავშირი ეგვიპტეზე თავდასხმის დროს სხვანაირად, ვიდრე სირიის წინააღმდეგ თავდასხმის საფრთხის დროს. პირველ შემთხვევაში საბჭოთა კავშირი თავისი გაფრთხილებით გამოვიდა, როცა დაახლოებით ერთი კვირა გავიდა ეგვიპტის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყების შემდეგ, მეორე შემთხვევაში კი მან წინასწარ დაიწყო მოქმედება. რით შეიძლება აიხსნას ეს განსხვავება?

პასუხი: თუ გაეცნობით იმ ნაბიჯებს, რომლებიც საბჭოთა მთავრობამ გადადგა, რომ არ დაეშვა აგრესია, ეგვიპტის წინააღმდეგ, დაინახავთ, რომ ჩვენ მოქმედება დავიწყეთ არა მას შემდეგ, რაც ინგლისმა, საფრანგეთმა და ისრაელმა თავდასხმა მოახდინეს, არამედ გაცილებით უფრო ადრე. დიდი ხანი არ არის, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა მთავრობის წერილები ბ-ნ იდენისა და ბ-ნ გი მოლესადმი, რომლებიც მათ ჯერ კიდევ ეგვიპტეზე თავდასხმამდე გავუგზავნეთ და რომლებშიც ვაფრთხილებდით, რომ თუ მოახდენდნენ აგრესიას ეგვიპტის წინააღმდეგ, ეს აგრესია ჩაიფუშებოდა.

გარდა ამისა, როცა მე და ბულგანინი ინგლისში სტუმრად ვიყავით, მაშინ ბატონ იდენთან, ბატონ ლოიდთან და სხვა მოღვაწეებთან საუბრებში, ჯერ კიდევ ნახევარი წლით ადრე, სანამ საომარი მოქმედება დაიწყებოდა, ჩვენ ვცდილობდით დაგვემტკიცებინა მათთვის ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის მთელი დამღუპველობა, თუ დიდი ბრიტანეთი ამ აგრესიას მოახდენდა. მაგრამ ინგლისის მთავრობა, საფრანგეთისა და ისრაელის მთავრობები იმდენად გატაცებული იყვნენ სურვილით მალე მოეღოთ ბოლო მათთვის არასასურველი ეგვიპტის მთავრობისათვის, რომ არ გაითვალისწინეს ეს, მოახდინეს აგრესია და დიდი ზიანი მიაყენეს არა მარტო ეგვიპტეს, არამედ, უწინარეს ყოვლისა, თავიანთ თავს, იმიტომ რომ მათ მიერ წამოწყებული აგრესიის ჩაფუშვა მათი კოლონიური პოლიტიკის კრახს მოასწავებდა. დაე ამ ჩაფუშვას საფრანგეთისა და ინგლისის მმართველი წრეები ჩვენ კი ნუ გვაბრალებენ, არამედ თავიანთ თავს დააბრალონ, იმიტომ რომ ისინი გონივრულად არ მოიქცნენ. საბჭოთა კავშირმა კი შეასრულა დიდი სახელმწიფოს ვალი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ დაუშვას ომი, ხოლო თუ იგი დაიწყო, აღკვეთოს იგი.

აი მოკლედ იმ მოვლენების ისტორიის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია მაშინ ეგვიპტეზე თავდასხმასთან.

რაც შეეხება სირიას, ჩვენ გავითვალისწინეთ გამოცდილება, რომელმაც დაგვანახვა, რომ კოლონიზატორები ყოველთვის როდი უგდებენ ყურს კეთილ რჩევას. ამიტომ ამჯერად საბჭოთა მთავრობამ წინასწარ გააკეთა ისეთი განცხადებანი, რომელთა შემდეგ არ შეიძლებოდა ორი აზრი ყოფილიყო ჩვენი პოზიციის შესახებ, თუ გაჩაღდებოდა ომი ახლო და შუა აღმოსავლეთში. და ჩვენ მოხარული ვართ, რომ თურქეთის მთავრობა მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდა ჩვენს განცხადებებს. მაგრამ ცნობილია, რომ არა მარტო გონებამ უკარნახა თურქეთის მთავრობას არ გაეჩაღებინა ომი, გარკვეული ნაბიჯები გადადგეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც. თუ პირველ ეტაპზე ისინი ძალიან აჩქარებდნენ თურქეთს, რომ იგი რაც შეიძლება მალე გამოსულიყო სირიის წინააღმდეგ და გასწორებოდა მას, შემდეგ, როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წრეებმა დაინახეს, რომ აქ საქმე იოლი სამხედრო გასეირნებით არ გათავდებოდა, რომ არაბ ხალხებთან, სირიასთან და ეგვიპტესთან იოლად გასწორება შეუძლებელი იქნებოდა, რომ ეს დიდ უსიამოვნებას უქადდათ, — მათ უკანდახევის ნიშანი მისცეს. თუ თავდაპირველად ისინი თურქეთს ომისათვის აქეზებდნენ, შემდეგ ურჩიეს ჯერჯერობით ასეთი ნაბიჯი არ გადაედგა.

მე ვფიქრობ, რომ ყოველივე ეს გამომაფხიზლებელ გავლენას მოახდენს თურქეთის წრეებზე. მათ დაინახეს, რომ მათი ზღვასგაღმელი მეგობრები, რომლებიც თურქეთს მეზობლების წინააღმდეგ აქეზებენ, მშვიდობის ინტერესებით კი არ ხელმძღვანელობენ, არამედ, პირიქით, აღვივებენ რა ვნებათა ღელვას მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ, ცდილობენ ხელი მოითბონ „ცივი ომით“. თურქეთის მოღვაწეები ალბათ გააკეთებენ დასკვნას, რომ მათი ზღვასგაღმელი მეგობრები ყოვლისშემძლენი არ არიან, რომ მოიპოვებიან ძალები, რომელთა დაძლევა ამერიკის შეერთებულ შტატებს არ ძალუძთ. ამიტომ სადავო საკითხების გადაწყვეტას უნდა ეძებდნენ არა ვნებათა ღელვის გაღვივებისა და „ცივი ომის“ გაჩაღების გზით, არამედ მშვიდობიანი თანაარსებობის საფუძველზე მოლაპარაკების გზით.

თურქეთი ჩვენი მეზობელია, და ჩვენ გვსურს მასთან მშვიდობით და მეგობრობით ვცხოვრობდეთ. თურქეთის მოღვაწეები ამბობენ, რომ თურქეთს საბჭოთა კავშირთან ომი არა სურს. მაგრამ ამას ისინი იმიტომ აცხადებენ, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი თურქეთისათვის წარმოუდგენელია — მეტისმეტად სხვადასხვაა ძალთა თანაფარდობა. ჩვენ გვსურს, რომ თურქეთი თავის მეზობლებთან ურთიერთობაში მშვიდობით და მეგობრობით ცხოვრობდეს. თუ თურქეთის მიმართ ჩვენ ძლიერი სახელმწიფო ვართ, არიან ქვეყნები, რომელთა მიმართ თურქეთია ძლიერი. და აი კარგი იქნებოდა, რომ თურქეთი ყველა მეზობელ ქვეყანასთან თავის ურთიერთობაში ხელმძღვანელობდეს მათი დამოუკიდებლობის პატივისცემის, ჩაურევლობისა და მეგობრობის პრინციპებით.

საბჭოთა კავშირი როგორც თურქეთთან ურთიერთობაში, ისე ყველა ქვეყანასთან ურთიერთობაშიც იცავს ერთსა და იმავე პრინციპებს — მშვიდობიანი თანაარსებობის, მეგობრობის, საქმიანი ურთიერთობისა და კულტურული კავშირის განვითარების, მშვიდობისათვის ბრძოლის, ომის წინააღმდეგ ბრძოლის პრინციპებს.

კითხვა: ინგლისელებმა და ფრანგებმა, მიუხედავად თქვენი გაფრთხილებისა, იქნებ იმიტომ გადაწყვიტეს მოეხდინათ აგრესია ეგვიპტის წინააღმდეგ, რომ არ იცოდნენ, რომ თქვენ რაკეტული ყუმბარები გაქვთ?

პასუხი: არა, ჩვენ ეს ვუთხარით მათ, როცა ინგლისში ვიყავით. ჩვენ ვაცნობეთ მათ, რომ სათანადო რაკეტები გვაქვს. შესაძლოა, მათ გადაწყვიტეს, რომ ეს სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ისევე როგორც ახლა სურთ თავი დაიმშვიდონ, არწმუნებენ რა საზოგადოებრიობას, რომ ჩვენ თითქოს არა გვაქვს ყველა სახეობის თანამედროვე იარაღი. მაგრამ თუ ეჭვი აქვთ, მოდით მოვაწყოთ გამოცდა საერთო პოლიგონზე და ვნახოთ, ნამდვილად ვისა აქვს ბალისტიკური რაკეტები და ვის არა აქვს ისინი. ხომ სავსებით ზუსტად არის ცნობილი, რომ არც ამერიკის შეერთებულ შტატებს, არც ინგლისს, არც საფრანგეთს არა აქვთ საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტები, რომლებიც საბჭოთა კავშირს აქვს.

კითხვა: ეს ერთობლივი გამოცდა ალბათ ძვირი დაჯდებოდა. თანამგზავრის გაშვება სწორედ საერთო პოლიგონზე გამოცდაა.

პასუხი: მაგრამ ალბათ ეს მათთვის არ კმარა. ისინი ალბათ იმ წესის მომხრე არიან, რომ არ კმარა დაინახო, საჭიროა ხელით შეეხო, თანამგზავრს კი ხელით ვერ შეეხები.

კითხვა: თქვენ განუცხადეთ ბ-ნ ბივენს, აგრეთვე დასავლეთის ზოგიერთ სხვა პოლიტიკურ მოღვაწეს, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის მაღალ დონეზე შეხვდეს დასავლეთის ქვეყნების წარმომადგენლებს ახლო და შუა აღმოსავლეთში შექმნილი სიტუაციის განსახილველად. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საბჭოთა კავშირი მონაწილეობას მიიღებს კონფერენციაში, რომელზეც არ იქნებიან შუა აღმოსავლეთის ქვეყნების წარმომადგენლები და სადაც წარმოდგენილი არ იქნება მათი თვალსაზრისი?

ასეთი კონფერენციის მოწვევის შემთხვევაში რა გარანტიებია შუა აღმოსავლეთის ხალხებისათვის, თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ამ ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას?

პასუხი: თქვენთვის ცნობილია ჩვენი მთავრობის განცხადებანი იმის შესახებ, რომ ჩვენ ვცდილობთ მივაღწიოთ „ცივი ომის“ ლიკვიდაციას, რათა უზრუნველვყოთ მშვიდობიანი თანაარსებობა და, მაშასადამე, მშვიდობიანი შეჯიბრებაც ყველა სახელმწიფოს შორის, მიუხედავად მათი სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა. მშვიდობიანმა შეჯიბრებამ უნდა დაგვანახვოს, რომელი სისტემა უფრო სიცოცხლისუნარიანია, რომელი უფრო შეესაბამება ხალხთა მისწრაფებებს და შეძლებს უფრო სრულად დააკმაყოფილოს ხალხის როგორც მატერიალური, ისე სულიერი მოთხოვნილებანი.

მაგრამ მშვიდობიანი თანაარსებობისადმი ჩვენი მისწრაფება ჯერჯერობით დადებით გამოხმაურებას ვერ პოულობს მთავარ იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მთავრობის წრეებში. „ცივი ომი“ არ წყდება. იგი ტვირთია ხალხებისათვის როგორც მატერიალურად, ისე მორალურად. ხალხებს სურთ განთავისუფლდნენ ამ ტვირთისაგან და ნამდვილად უზრუნველყონ ისეთი პირობები, რომ თვითეულ ადამიანს შეეძლოს მშვიდობიანად ცხოვრობდეს, მშვიდად იძინებდეს, არ ეშინოდეს, რომ ბომბების აფეთქება ძილს შეაწყვეტინებს და სიცოცხლეს მოუსპობს მას. ხალხებს სურთ განთავისუფლდნენ „ცივი ომის“ ტვირთისაგან.

ამიტომ უნდა ვცდილობდეთ მივაღწიოთ მშვიდობიან თანაარსებობას. მშვიდობიანი თანაარსებობა კი შეუთავსებელია „ძალის პოზიციის“ პოლიტიკასთან, „ომის ზღვარზე“ ყოფნის პოლიტიკასთან და სხვა ამგვარ რამეებთან, რომლებითაც იმპერიალისტური სახელმწიფოები სარგებლობენ. საჭიროა სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენლები შეხვდნენ ერთმანეთს, აზრები გაუზიარონ ერთმანეთს და შეთანხმდნენ, საჭიროა დავამშვიდოთ მსოფლიო და არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც. საბჭოთა კავშირმა მრავალი მაგალითით დაამტკიცა თავისი გულწრფელი სურვილი განახორციელოს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა: მან დადო სახელმწიფო ხელშეკრულება ავსტრიასთან, გამოიყვანა იქიდან თავისი ჯარები, უარი თქვა სამხედრო ბაზაზე ფინეთში და გამოიყვანა იქიდან თავისი ჯარები, მილიონ 800 ათასი კაცით შეამცირა თავისი შეიარაღებული ძალები, დადო ხელშეკრულება იაპონიასთან ომის მდგომარეობის ლიკვიდაციის შესახებ, დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა დასავლეთ გერმანიასთან, გადაწყვიტა მთელი რიგი სხვა საკითხები. ჩვენ შევიტანეთ კონსტრუქციული წინადადებანი განიარაღების, ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის, ამ იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკითხებზე. არ ჩამოვთვლი ყველა ჩვენს ნაბიჯსა და წინადადებას, იმიტომ რომ სია ძალიან დიდია. მაგრამ ყველა ეს ნაბიჯი და წინადადება ერთ რამეს ეყრდნობა — იმის სურვილს, რომ თავიდან ავიცილოთ ომი, გამოვრიცხოთ სადავო საკითხების ომის გზით გადაწყვეტა.

დასავლეთის სახელმწიფოთა მთავრობები უარყოფითად ეკიდებიან სოციალისტური და კაპიტალისტური ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრას. ისინი კვლავ ამბობენ, რომ ჩვენ უნდა წარვადგინოთ რაღაც დამამტკიცებელი საბუთები, სურთ, რომ ჩვენ პოლიტიკური დათმობანი გავაკეთოთ. ხოლო რა არის პოლიტიკური დათმობანი მათი გაგებით? მათ, როგორც ჩანს, სურთ, რომ ჩვენ უარვყოთ ჩვენივე თავი, ხელი ავიღოთ ჩვენს სოციალისტურ პრინციპებზე იმპერიალისტური წრეების საამებლად. მაგრამ ამას ვერასოდეს ვერ ეღირსებიან ბატონი იმპერიალისტები და ყველა სხვა ვაჟბატონები, რომლებიც „ცივი ომის“ პოზიციებზე დგანან.

უნდა ვახორციელებდეთ რეალურ პოლიტიკას და უნდა ვაღიაროთ, რომ არსებობს ორი სამყარო — სოციალისტური და კაპიტალისტური. მაშინ უფრო ადვილი იქნება აღმოვფხვრათ არანორმალური ურთიერთობა, ბოლო მოვუღოთ „ცივ ომს“, განვავითაროთ სახელმწიფოებს შორის მეგობრული ურთიერთობა მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის საფუძველზე.

რა გავლენას მოახდენს ყოველივე ეს ახლო და შუა აღმოსავლეთზე? ჩვენ არასოდეს არ განვასხვავებთ ახლო და შუა აღმოსავლეთს, შორეულ აღმოსავლეთს, დასავლეთს, სამხრეთსა თუ ჩრდილოეთს. ყველა ხალხებს, სადაც უნდა ცხოვრობდნენ ისინი, მშვიდობა და მყუდროება სურთ. იმ ლაყბობას, რომელსაც იმპერიალისტები ახლა ავრცელებენ იმის შესახებ, რომ ჩვენ თითქოს გვსურს შევუთანხმდეთ ამერიკის შეერთებულ შტატებს გავლენის სფეროების გაყოფის შესახებ, ცხადია, არავითარი ნიადაგი არ მოეპოვება — ეს სოციალისტური ქვეყნების ტერმინოლოგია კი არ არის, არამედ კოლონიზატორთა, მონათმფლობელთა ტერმინოლოგიაა, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ თუ ქვეყანა ძლიერია, იგი რამეს უნდა ფლობდეს და ვინმეს ხარჯზე ცხოვრობდეს.

ჩვენ სოციალისტური ქვეყანა ვართ, რომელმაც ახლებურად მოაწყო თავისი სახელმწიფო და მოახდინა ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაცია. ჩვენი პრინციპები ნებას არ გვაძლევს შევუთანხმდეთ ძლიერ სახელმწიფოებს სუსტების საზიანოდ, სუსტების ხარჯზე. ეს უცხოა საბჭოთა სახელმწიფოს სულისკვეთებისათვის. ყველა მოლაპარაკების დროს ჩვენ მუდამ მტკიცედ ვიცავთ სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპებს, ხელს ვუწყობთ ყველა ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებას, მათი ეკონომიკის განვითარებას, მათი ცხოვრების დონისა და კულტურის ამაღლებას.

კითხვა: გენერალ ა. ჰ. ამერთან ერთ-ერთ საუბარში თქვენ თქვით, რომ საბჭოთა პოლიტიკა ეგვიპტის მიმართ გარკვეულ პრინციპებს ემყარება და არ შეიძლება დაკავშირებულ იქნას საბჭოთა კავშირის ამა თუ იმ მოღვაწის სახელთან. ნება მიბოძეთ ინტერვიუს ტექსტში გავიმეორო ის, რაც თქვენ ამ საკითხზე გენერალ ამერს უთხარით.

პასუხი: დიახ, უთუოდ, შეგიძლიათ თქვათ ეს — მშვიდობისმოყვარულ საბჭოთა საგარეო პოლიტიკას ერთი პიროვნება როდი ახორციელებს, ეს საბჭოთა მთავრობის პოლიტიკაა.

მ. ჰ. ჰეიკალი. მე თქვენ მეტი დრო წაგართვით, ვიდრე ვვარაუდობდი, და მინდა მადლობა მოგახსენოთ ასეთი საუბრისათვის. დასასრულ მინდა გთხოვოთ შემინახოთ ერთი ადგილი მთვარეზე გასაგზავნ პირველ რაკეტში. ეგვიპტეში ბევრი ადამიანი ელის ამ მომენტს.

ნ. ს. ხრუშჩოვი. ნუ აჩქარდებით. მოდით უკეთ მოვაწყოთ ჩვენი საქმეები დედამიწაზე, ხოლო ამასობაში მეცნიერება და ტექნიკა ახალ ნაბიჯს გადადგამენ თავის განვითარებაში.

ვამოწმებთ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს

ახმეტელ მეცხვარეთა შრომითი წარმატება

მიმდინარე წლის იანვარში სტავროპოლის მხარის ბაკრესის საძოვრებზე გაიმართა ზემო ალვანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეთა კრება. დღის წესრიგში იყო მხოლოდ ერთი საკითხი: სასოფლო-სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება.

მაშინ თუშმა მეცხვარეებმა აწონ-დაწონეს თავიანთი შესაძლებლობანი და იკისრეს: ნამატის 95 პროცენტით შენარჩუნება, თვითეულ ცხვარზე 3,5 კილოგრამი მატყლის და საშუალოდ თითო დედაცხვარზე ოთხი კილოგრამი ყველის მიღება. შეჯიბრებაში ქვემო ალვანის ლენინის სახელობის და ზემო ალვანის სტალინის სახელობის კოლმეურნეობების მეცხვარეები გამოიწვიეს.

დადებული პირობის შესასრულებლად ზემო ალვანელმა მეცხვარეებმა ენერგიულად იშრომეს. ბრიგადირები, ცალკეული მწყემსები საქმის ცოდნითა და სიყვარულით აკეთებდნენ საქმეს.

მთავარია ნამატის მიღება-შენარჩუნება. საზაფხულო-საზამთრო საძოვრები ერთმანეთს 600 კილომეტრით არის დაშორებული. ასეთ პირობებში მეცხვარეობის ფერმის მუშაკებს მეტად დაძაბული მუშაობა მოუხდათ.

ნამატის მიღება-შენარჩუნებაში თუშ მეცხოველეებს დიდი გამოცდილება აქვთ. მაგალითად, ისინი საქმეს დედაცხვრის ნერბვის წესიერი ორგანიზაციით იწყებენ. საკვებს აძლევენ ისე, რომ სანაშენო ნაკვებობა შეუნარჩუნონ, რადგან გამხდარი ცხვარი განუვითარებელ ბატკანს იძლევა. ალვანელი მეცხვარეები დოლისათვის საგულდაგულოდ ემზადებიან. ბინები აშენებული აქვთ ქარისა და სინესტისაგან დაცულ ადგილზე. აწყობენ ბევრ საბატკნეს. ეს საჭიროა იმისათვის, რომ თვითეულში თანაბარი ასაკისა და განვითარების ბატკანი მოთავსდეს. როცა კარგი ამინდია, ახლად მოგებულ ბატკანს და დედაცხვარს 4-5 დღის განმავლობაში ერთად ამყოფებენ, ცუდი ამინდის დროს ბატკანს ძუძუს ხშირად აწოვებენ.

ბატკანი ასხლეტისას (ეს ხდება ზაფხულის საძოვრებზე ასვლის დროს) დაბლობ ადგილებში ჰყავთ, შემდეგ თანდათან მაღლა მიერეკებიან. მაღალ მთებში ბალახი ნორჩია, მას ბატკანი ხარბად ეტანება და სუქდება.

ალვანელი მეცხვარეები ბევრ სხვა საგულისხმო ღონისძიებასაც ახორციელებენ. ამიტომ იყო, რომ წელს მიღებული ნამატი მთლიანად შეინარჩუნეს, ვალდებულებით კი 95 პროცენტის შენარჩუნება იყო გათვალისწინებული.

ახლა ამ საქმეში გამარჯვებულთა შესახებ. რვა წელიწადია რევაზ ცაძიკიძე მეცხვარეობის ბრიგადას მეთაურობს. ბევრჯერ უსახელებია თავი, მაგრამ წელს განსაკუთრებით იმამაცა. ყოველ ას დედაცხვარზე 107 ბატკანი გამოზარდა. ეს პატარა საქმე როდია. ამის მიღწევა მუდმივი მზრუნველობით შეიძლება. ამ სამუშაოს ოსტატები არიან მწყემსები ლექსო და ფირუზ ომაიძეები, რევაზ იკურიძე და ვახტანგ ნასიპაშვილი.

ბრიგადამ, რომელსაც შალვა თათარაიძე ხელმძღვანელობს, 775 დედაცხვარზე 834 ბატკანი გამოზარდა. გეგმის გადაჭარბებით ბევრი ბატკანი შემატეს ფერმას ქრისტეფორე ალხანაიძისა და რევაზ იდიძის ბრიგადებმაც.

ზემოალვანელი მეცხვარეები თავს ვალდებულად თვლიან, რომ თუშური ყველი, რომელიც საქვეყნოდ არის ცნობილი, მშრომელთა სუფრას არ მოაკლონ. ცხვრის რძიდან მაღალხარისხოვანი ყველის დამზადება ყველა მეცხვარეს როდი შეუძლია. ეს საკმაო დახელოვნებას მოითხოვს. ამიტომ არის, რომ ყველის დამზადებას მხოლოდ ამ საქმის ოსტატებს ავალებენ.

თვითეულ დედაცხვარზე წელს ოთხი კილოგრამი ყველი უნდა დაემზადებინათ. ფაქტიურად ხუთ კილოგრამს გადაამეტეს. ამ საქმეში ყველას რევაზ იდიძის ბრიგადამ აჯობა. ბრიგადამ, როგორც კი ცხვარი საზაფხულო იალაღებზე — „თურისიუხის" მთაში აიყვანა, წველა გააჩაღა. პირველ რიგში ცხვარს მოაძოვებინეს ის ადგილები, რომლებიც მწირი იყო და გვალვას ვერ აიტანდა, უფრო ტენიანი ადგილები ზაფხულის ცხელი დღეებისათვის შემოინახეს. ბრიგადამ 14.040 ლიტრის ნაცვლად 21.720 ლიტრი რძე მიიღო და გეგმის გადამეტებით 1.547 კილოგრამი თუშური ყველი დაამზადა. მეორე ადგილი რ. ცაძიკიძის ბრიგადამ დაიკავა.

ზემოალვანელებს წინათ მთლიანად თუშური ჯიშის ცხვარი ჰყავდათ. მატყლს ცოტას იღებდნენ, ამასთან ხარისხიც დამაკმაყოფილებელი არ იყო. ახლა ალვანელებს ძირითადად გაუმჯობესებული ჯიშის ცხვარი ჰყავთ. იმატა მატყლის გამოსავლიანობამ და გაუმჯობესდა მისი ხარისხი. წელს გეგმით თვითეულ ცხვარზე 2,9 კილოგრამი მატყლი უნდა მიელოთ, ფაქტიურად ოთხი კილოგრამი მიიღეს. მეტი მატყლისათვის ბრძოლაში პირველობა რ. ცაძიკიძის ბრიგადამ მოიპოვა. ქების ღირსია შ. თათარაიძის ბრიგადაც. კოლმეურნეობამ 35 ათასი კილოგრამი მატყლი ჩააბარა სახელმწიფოს. ჩაბარება გრძელდება.

ზემოალვანელებმა ხორციც ბევრი მისცეს სამშობლოს. ჩაბარებულია 85.500 კილოგრამი, აქედან თექვსმეტი ათასი კილოგრამი — მომავალი წლის ანგარიშში.

თუში მეცხვარეები თვითონაც ბევრს იღებენ. შრომადღეებზე 1.900 სული ცხვარი გაანაწილეს. ბევრია ისეთი მეცხვარე, რომელმაც 400-500 კილოგრამი ხორცი მიიღო. კოლმეურნე რევაზ ცაძიკიძემ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის პრემიად მიიღო 60 ბატკანი, 300 კილოგრამი მატყლი და 150 კილოგრამი ყველი.

ზემო ალვანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის ცხვრის ფარები წელს სტავროპოლის მხარის საძოვრებზე გამოიზამთრებენ. აქ ცხვარს საკმაო საკვები მოუმზადეს. ამ საქმეში თავი ისახელა კოლმეურნეობის ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი ი. ხუტიძე ხელმძღვანელობდა.

კოლმეურნეობაში ყოველწლიურად იზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის პროდუქტიულობა. გეგმით შვიდასი სული პირუტყვი უნდა ჰყავდეთ, ფაქტიურად 782 სული ჰყავთ. წელს საშუალოდ ერთ საფურაკე ძროხაზე ათასი ლიტრი რძე უნდა მიეღოთ, ცხრა თვეში მიღებული იყო 1.213 ლიტრი. ვ. ცაძიკიძის ბრიგადამ გეგმის გადამეტებით 22.500 ლიტრი რძე მიიღო. წველადობის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს მწველავებმა ე. თავბერიძემ, გ. ქაძიმ და გ. თავბერიძემ.

დავინტერესდით მეცხოველეობიდან მიღებული შემოსავლით. ამ საკითხზე ბევრი რამ საინტერესო გვიამბო კოლმეურნეობის ბუხჰალტერმა ო. ჯაფარიძემ. შარშან კოლმეურნეობას მეცხოველეობიდან 1.398 ათასი მანეთი შემოსავალი მიუღია, წელს ცხრა თვეში ამ შემოსავალმა მილიონნახევარ მანეთს გადააჭარბა.

ახმეტელმა მეცხვარეებმა პირობა შეასრულეს და ახლა კვლავ დაძაბულად შრომობენ საზამთრო საძოვრებზე მორიგი გამარჯვების მოსაპოვებლად.

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.

გავადიდებთ ჩაის მოსავლიანობას

წელს, ჩემთვის მოსავლელად ჩაბარებულ ნახევარ ჰექტარზე მოვკრიფე 10.848 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. მოსავლიანობის გადიდებას იმით მივაღწიე, რომ პლანტაციებს კარგად ვუვლიდი.

საშემოდგომო გადაბარვის წინ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ნიადაგს ვაპატივებ ფოსფოროვანი და კალიუმის სასუქით. როცა გვალვიანი წელია, აზოტოვანი სასუქი მეტი დოზით შემაქვს. სახელდობრ — მაისში 500 კილოგრამი, აგვისტოში — 700 კილოგრამი.

მცენარეთა დაავადების ალსაკვეთად ნოემბრის პირველი რიცხვებისათვის დავამთავრე ფუმიგაცია.

შრომა დიდი სიყვარულით სარგებლობს ჩვენს ოჯახში, სადაც 3 სოციალისტური შრომის გმირია. წელს ჩვენმა ოჯახმა გამოიმუშავა 3.000-მდე შრომადღე, ავანსად მივიღეთ 55 ათასი მანეთი და 4,5 ტონა მარცვალი.

ვიბრძვი იმისათვის, რომ მომავალ წელს ნახევარ ჰექტარზე მივიღო 12 ტონა ჩაის ფოთოლი.

ჟენია ქადარია,
ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

თბილისმთავარმშენის № 3 სამშენებლო სამმართველო საბურთალოზე, პავლოვის ქუჩაზე აშენებს 5 მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლს. მათგან სამი სახლი მთლიანად რკინა-ბეტონის ბლოკების კონსტრუქციებისაგან იგება.

• • •

სურათზე: მსხვილბლოკიანი სახლების ახალგაზრდა მოწინავე მშენებლები ვ. პოლოზევი (მარცხნივ) და ა. ნაცვლიშვილი. ისინი გამომუშავების ნორმებს ყოველდღიურად 130 პროცენტით ასრულებენ.

ფოტო ვ. სტოლიაროვისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

მზადება სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის

თბილისი. კალინინის რაიონის № 5 საარჩევნო პუნქტი. სურათზე: აგიტატორი ე. ქიქოძე აგიტპუნქტში ამომრჩევლებს ესაუბრება სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ძლიერდება სააგიტაციო მუშაობა

თბილისის კალინინის რაიონში 1.000-ზე მეტი აგიტატორი აწყობს საუბრებს სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ. ისინი მსმენელებს განუმარტავენ საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებას, ესაუბრებიან საბჭოთა მართლმსაჯულებისა და ჩვენს ქვეყანაში სასამართლოს როლის შესახებ.

რაიონის საწარმო-დაწესებულებებში წაკითხულ იქნა ლექციები: „საბჭოთა საარჩევნო სისტემა", „საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულება", „ქორწინება და ოჯახი საბჭოთა საზოგადოებაში" და სხვ.

არჩევნებთან დაკავშირებით პარტიის კალინინის რაიკომის პარტიული განათლების კაბინეტში, ი. ჭავჭავაძის სახელობისა და ცეკავშირის კლუბებში, მასწავლებელთა სახლში მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა.

ფართო სააგიტაციო მუშაობაა გაჩაღებული აგიტპუნქტში, რომელიც ცეკავშირის შენობაშია. მოწყობილია არჩევნებისადმი მიძღვნილი სპეციალური სტენდები, აგიტპუნქტი უზრუნველყოფილია საარჩევნო ლიტერატურით, აქვთ ტელევიზორი. ამას წინათ აქ მოეწყო ლექცია თემაზე „საერთაშორისო მდგომარეობა", რომელსაც მრავალი ამომრჩეველი დაესწრო. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან აგიტატორები ნ. ყიფშიძე, ც. ჯინორია და სხვები. მაგრამ ასე არ ითქმის აგიტპუნქტზე, რომელიც ძერჟინსკის სახელობის კლუბის შენობაშია მოთავსებული. აქ აგიტპუნქტისათვის 25 ნოემბერს ოთახიც არ იყო გამოყოფილი.

ლექციები, მოხსენებები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქში დიდი მზადებაა სახალხო სასამართლოების არჩევნებისთვის. შექმნილია სახალხო სასამართლოების არჩევნების ხუთი საარჩევნო ოლქი და 43 საარჩევნო პუნქტი. საწარმოებში, ახალმშენებლობებზე და მოსახლეობაში ახსნაგანმარტებითს მუშაობას ეწევა 43 აგიტპუნქტი და 145 აგიტკოლექტივი, რომლებშიც 3.000-ზე მეტი აგიტატორია გაერთიანებული.

მოსახლეობისათვის ეწყობა ლექციები და პოლიტიკური მოხსენებები თემებზე: „სოციალისტური კანონიერება საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა სადარაჯოზე", „საბჭოთა სასამართლო ყველაზე დემოკრატიულია მსოფლიოში" და სხვ.

პირველი ნაბიჯები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიის ზესტაფონის რაიკომმა ჩაატარა პირველადი პარტიული ორგანიზაციების და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა რაიონული თათბირი, რომელმაც განიხილა სახალხო სასამართლოების არჩევნებისათვის მზადების საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებები საგიტაციო-მასობრივი მუშაობის გასაჩაღებლად.

რაიონის ბევრ საწარმოში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ფართოდ გაიშალა საგიტაციო მუშაობა. რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეებისათვის მოეწყო აგიტპუნქტი, რომლის გამგე შ. ცაგარეიშვილია. აქ გამოკრულია ლოზუნგები და პლაკატები, მოეწყო საარჩევნო ლიტერატურის გამოფენა, დაწესდა აგიტატორთა მორიგეობა, ჩატარდა აგიტატორთა საინსტრუქტაჟო თათბირი. აგიტატორები პ. ქლიბაძე, ა. ღავთაძე და ე. მალაღურაძე შინაარსიან, საინტერესო საუბრებს აწყობენ მოსახლეობაში.

აგიტპუნქტები მუშაობას შეუდგნენ ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში, სოფელ დილიკაურის სვერდლოვის სახელობის, სოფელ ალავერდის ორჯონიკიძის სახელობის, სოფელ მეორე სვირის ლენინის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

ამ პოლიტიკური მნიშვნელობის კამპანიისათვის მზადებას ყველგან ერთნაირი პასუხისმგებლობით როდი ეკიდებიან. სოფლების ქვედა საზანოს, ზოვრეთის და პირველი მაისის სასოფლო საბჭოებში არ იგრძნობა სასამართლოს არჩევნების მოახლოება, არ არის მოწყობილი აგიტპუნქტები, აგიტატორები მუშაობას არ შესდგომიან.

ფელეტონი

აშენებენ სწრაფად, იაფად... დაბალხარისხოვნად...

1957 წლის მაისსა და ნოემბერში ჩვენს დედაქალაქს სხვებთან ერთად ორი ახალი მისამართი შეემატა. ფალიაშვილის ქ. № 118, მოსაშვილის ქ. № 3. ამ მისამართებზე ორი ვეებერთელა საცხოვრებელი სახლი აშენდა. სწორედ მათი მშენებლების მისამართით გვექნება ლაპარაკი.

ვაკის განაპირას მცხოვრებნი 6 ნოემბერს ასეთი სურათის მოწმენი გახდნენ. ბინდდებოდა, როცა ახალი სახლისაკენ იწყეს და იწყეს დენა საოჯახო ნივთებით დატვირთულმა ავტომანქანებმა. ფასადის მხრიდან ჭაჭანება არ ისმოდა, უკან კი ნამდვილი „ხელჩართული" ბრძოლა გაჩაღდა. ვიწრო გასასვლელში გამოსავალი ვეღარ იპოვნა მანქანამ. ერთს კი ათი უცდიდა რიგში ჩამდგარი. ატყდა ყვირილი და დავიდარაბა. ყველა ცდილობდა გაესწრო დანარჩენებისათვის, ყველას პირზე ეკერა: ჯერ მე, მერე შენ. ერთმანეთს ხელს უშლიდნენ და დიდხანს ასე ცოდვილობდნენ. მთელი ამ აურზაურის საბაბი ის გახლდათ, რომ მთავარი სადარბაზო შესასვლელები ჯერ კიდევ ხარახოებშია ჩასმული. და მარტო ეს რომ ყოფილიყო, მიზეზ-მიზეზ არ მოვყვებოდით—ამ ვეებერთელა სახლში სიცოცხლის ნიშანი გამქრალიყო.

— სინათლე, სინათლე მოგვეცით!

— ვისია, სად მოგაქვს ეს შიფონერი, პატრონს წაუღე, თუ ძმა ხარ, — იძახის ვიღაც და თავისიანებს დაეძებს, — აუჰ, რა ორომტრიალია... ხალხნო, სიდედრი დავკარგე, ხომ არსად გინახავთ?

— ნუ გეშინია, ხარიტონ, აქ ვარ.

— ოო... დიდი შეღავათია! — ამბობს მოულოდნელად ოხუნჯობის გუნებაზე დამდგარი ხარიტონი და სახლში მიუძღვება.

— დიდებულია, ხო, ხო... რამოდენა სასადილოა, ბოლო არ უჩანს.

— აქეთ მობრძანდი, დედი, ეს სააბაზანო ოთახია, თუმცა ამ ბნელში რას გაარჩევ, — ისმის ხითხითი. აფრინეს კაცი — ორჯონიკიძის რაიონის თელასში დაურეკე, გვიხსნან ამ გაჭირვებიდანო.

— რა ვქნა, ჩემო ძმაო, ზემოდან მითითება არა გვაქვს, — გაისმა ყურმილში ვლადიმერ დოლიძის ხმა, — არსებობს სპეციალური განრიგი, რომელიც უნდა გამოგვიგზავნოს ენერგოგასაღების განყოფილებამ. ხოლო ამის შემდეგ...

მოდი ახლა და ედავე. ვის ეცალა საკამათოდ. ღამის 3 საათამდე გაგრძელდა ეს უთანასწორო ბრძოლა სიბნელესთან.

ზოგიერთებმა იმ დღესვე მოინდომეს კერიის გაჩაღება — მეორე დღე ხომ დღესასწაული თენდებოდა. გაჰკრეს ასანთს, ღუმელი დაანთეს და მაშინვე ინანეს — მთელი ბინა კვამლში ჩაიძირა. სააბაზანოში შევიდნენ და ერთი შხაპის ნაცვლად ათი დახვდათ — მილებიდან ისე მოასხამდა წყალი, ალბათ მთლად გარეცხავდა ნამუსიდან მის დამყენებელ ტექნიკოსებს, ერთხელ მაინც რომ შემოეხედათ ახლა თავიანთი ნახელავისათვის.

რა მოხდა, ბატონო, რაშია საქმე, ხალხი გუშინ შესახლდა სახლში და დღეს ასეთი ამბავი ატეხეთო, — შეიძლება იწყინოს „მთავართბილმშენის" № 2 სამშენებლო სამმართველოს უფროსმა ბესარიონ ჩიგოგიძემ ან თვით „მთავართბილმშენის" უფროსმა გრიგოლ ვაშაკიძემ. მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით მათ ახალი მისამართით, მოსაშვილის ქ. № 3-ში მდებარე სახლზე გავუგრძელოთ საუბარი. ეს 44-ბინიანი სახლი მიმდინარე წლის მაისში დაიკავეს ახალმოსახლეებმა.

მოვიდნენ გახარებული, კარი შეაღეს—აღარ გამოიკეტა, სარკმელი გახსნეს — აღარ დაიხურა, წყალი მოუშვეს — ნიაღვარი დადგა, ღუმელში ცეცხლი შეანთეს — გაცეცხლდნენ, ფეხს გადაადგეს და კინაღამ კისერი მოიტეხეს — სწორედ ამაზე ეტყვიან „წყალში ვდგევართ, ცეცხლი გვიკიდიაო".

ნედლი მასალისაგან დამზადებულმა კარ-ფანჯრებმა ზნე იცვალა, დასკდა, დაიგრიხა, ჩარჩოში ვეღარ მოთავსდა. „სანტექმონტაჟის" სპეციალისტებს მიუფუჩეჩებიათ თავიანთი სამუშაო, დაუხურავთ ქუდი და წასულან. ყოჩაღ, ბიჭო! კაცი ვარ და ქუდი მხურავსო, ამასა ჰქვია. ჩვენგან რა ესწავლებათ, თვითონაც კარგად იციან, საპირფარეშოებსა და სააბაზანოებში წყალსადენი ჩაოხრებულია, სართულთაშუა გადახურვაში წყალი ჟონავს, საკანალიზაციო მილები გაუწმენდავია, სიფონის შეერთება მილთან მტკიცედ არ არის დაცული და იატაკზე ტბა დგება.

საექსპლოატაციოდ მზად არ არის ცენტრალური გათბობის ქვაბებიც. ზამთარი აგერ კარზე მოგვადგა, აქ კი საცდელი გათბობაც არ ჩაუტარებიათ.

მშენებლებს მიეთითათ ამ დიდ ნაკლოვანებებზე. სახელმწიფო სამშენებლო კონტროლის ინსპექციამ 21 აგვისტოს, შემდეგ კი 29 ოქტომბერს გასინჯა სახლი და მაინც არაფერი ეშველა — 30 ბინიდან მხოლოდ 4-ში შეაკეთეს პარკეტი, ცენტრალური გათბობა კვლავ მოშლილია.

რამდენად ოპერატიული ზომები განახორციელეს მშენებლებმა, რამდენად იზრუნეს სახლის სწრაფად, იაფად და მაღალხარისხოვნად აშენებისათვის, ამას პატარა დეტალიც მჭევრმეტყველურად ასაბუთებს. ერთ ბინაში მათ ხელმეორედ უნდა დაეგოთ იატაკი. ეს დიდი დავიდარაბააო, იფიქრეს და... რას ნიშნავს ჭკვიანი კაცი! აიღეს, პარკეტზე პარკეტი დააგეს. ასე აპირებდნენ დანარჩენ ბინებშიც, რომ დროზე არ გაეგოთ მათი „გონებამახვილობა".

...და ყოველივე ამის შემდეგ საინტერესო იყო, რას იტყოდა „სანტექმონტაჟის" № 12 სამმართველოს უფროსი ბორის ივანეს-ძე გოლუბკოვი. ასე თუ ისე, მთავარი საყვედური მაინც მათი მისამართით ისმის ყოველ ბინაში.

სამმართველოს ეზო უპატრონოდ მიტოვებულ საწყობს უფრო წააგავს, ვიდრე წესიერ საწარმოს. შუაგულში დგას საპატიო დაფა, ცარიელ ჩარჩოში ერთ სურათსაც ვერ მოჰკრავთ თვალს. ჭეშმარიტად ქების ღირსი თავმდაბლობაა! ძნელია ასეთი დამსახურებით საპატიო დაფაზე მოხვდე.

— გოლუბკოვი არ არის, არც მისი მოადგილე გერმანე ორაგველიძე გახლავთ. სად წავიდნენ, როდის მოვლენ, არ ვიცით, — მივიღეთ ცივი პასუხი. შესვენებამდე ჯერ დროა. წითელ კუთხეში დომინო გაუჩაღებიათ, უზრუნველად გადის ძვირფასი წუთები. მაგიდაზე ჭადრაკი დევს, ფიგურები თამაშში შეუყვანიათ, პარტია გადადებულა. ვერ ვიტყვი, რომ სწორედ უფროსი და მისი მოადგილე უსხდნენ ცოტა ხნის წინ ამ მაგიდას. ან კი რა ვიცი, იქნებ ასეც იყო. თუ ეს ასეა, უთავბოლობა არაფერში არვარგა, არც საქმეში, არც სპორტულ ჭიდილში. დაიწყე — დაამთავრე! მოდით დავამთავროთ ეს დაუმთავრებელი პარტიაც. ვაკეთებთ სვლას — შახ-გარდე, ამხანაგო გოლუბკოვ, ამხანაგო ორაგველიძე! გაფრთხილებთ ხალხი. გაფრთხილებენ ახალმოსახლეები.

ახლა მათ სახლებთან თუ გაივლით, ვერ გაიგონებთ ძველ მამაპაპურ სიმღერას: ჩვენი მასპინძლის სასახლე ტურფად ნაგებიო და სხვ... ყველა რაღაცას ჯახირობს, საკუთარი სახსრებით აკეთებს თქვენს გასაკეთებელს. ამიტომ არის, როცა ამბავს გამოჰკითხავთ, იმის მაგივრად, რომ ლოცვა-კურთხევას გიგზავნიდნენ, ყველა სართულიდან გადმოდგებიან და ხუთსართულიან ლანძღვას მოგაყოლებენ.

ასეა, არ უნდა დაივიწყოთ ერთი დიდებული ქართული თქმა: მადლი ჰქენ, მარილიც მოაყარეო.

გ. დაუნიანი.

იუგოსლავი ხალხის დღესასწაული

29 ნოემბერს იუგოსლავიის ხალხები აღნიშნავენ თავიანთ ეროვნულ დღესასწაულს — რესპუბლიკის დღეს. თორმეტი წლის წინათ ამ დღეს ბელგრადში შეკრებილმა იუგოსლავიის დამფუძნებელმა სკუპშჩინამ მიიღო დეკლარაცია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების შესახებ. ეს დიდი გამარჯვება იუგოსლავიის მშრომელებმა მოიპოვეს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ჰიტლერელთა და მათ ხელშემწყობთა წინააღმდეგ ბრძოლაში იუგოსლავიის ხალხი გამოდიოდა სხვა თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად, საბჭოთა ხალხთან ძმური კავშირით, რომელმაც გადაიტანა საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სიმძიმე.

ხალხის ხელში ძალაუფლების გადასვლამ იუგოსლავიის მშრომელთა წინაშე გადაშალა იუგოსლავიაში სოციალური ურთიერთობის ძირეული გარდაქმნის ფართო პერსპექტივა, სოციალიზმის აშენების პერსპექტივა. სახალხო ხელისუფლებამ გაატარა აგრარული რეფორმა, განახორციელა წარმოების საშუალებათა განსაზოგადოება მრეწველობაში და ტრანსპორტზე, გზა გაუხსნა მშრომელებს განათლებისა და კულტურისაკენ.

იუგოსლავიის ხალხები კმაყოფილებითა და სიამაყით აღნიშნავენ წარმატებებს, რომლებიც მათ მოიპოვეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელობით. წარსულში ჩამორჩენილი აგრარული ქვეყანა ახლა იქცევა ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად.

იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების დონე 1957 წლის დამდეგისათვის ომამდელ 1939 წელთან შედარებით 2,66-ჯერ გაიზარდა. 1957 წლის განვლილ თვეებში საზოგადოებრივი გეგმის წარმატებით შესრულება უზრუნველყოფს სამრეწველო პროდუქციის შემდგომ მატებას წლის ბოლოსათვის კიდევ 10-12 პროცენტით. აგებულია ათობით ჰიდროელექტროსადგური და თბოელექტროსადგური.

სახალხო ხელისუფლების დროს იუგოსლავიაში არსებითად სავსებით ახლად არის შექმნილი მრეწველობის ისეთი რთული დარგი, როგორიცაა მანქანათმშენებლობა. რესპუბლიკაში არსებობს 260 ახალი ან რეკონსტრუირებული საწარმო, რომლებიც ჩარხებს, მოტორებს, ტურბინებს, გენერატორებს და სხვა მოწყობილობას აწარმოებენ.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია განუწყვეტლივ მზარდ გავლენას ახდენს მთლიანად იუგოსლავიის ეკონომიკაზე, არსებითად ცვლის ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ შემადგენლობას. მრეწველობის წილი ნაციონალურ შემოსავალში ახლა შეადგენს 40 პროცენტზე მეტს ომამდელი 18 პროცენტის ნაცვლად. ერთიორად და უფრო მეტად გაიზარდა მუშათა კლასის რაოდენობა.

სამრეწველო წარმოების ზრდა, რაც მიღწეულია ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის შედეგად, წინაპირობებს ქმნის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის განხორციელებისათვის და მისი ჩამორჩენილობის დაძლევისათვის.

ამჟამად დაქუცმაცებულ წვრილ გლეხურ მეურნეობებს იუგოსლავიის სოფელში უპირატესი მდგომარეობა უჭირავთ: ერთპიროვნულ სექტორს თავის განკარგულებაში მიწის 90 პროცენტზე მეტი აქვს. ამავე დროს იუგოსლავიის გლეხობაში ფართოდ გავრცელდა მომმარაგებელ-გამსაღებელი ტიპის კოოპერატივები. სწორედ ეს კოოპერატივები მიაჩნიათ იუგოსლავიის სახალხო რესპუბლიკაში სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის საფუძვლად.

ამა წლის აპრილში იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საკავშირო სახალხო სკუპშჩინის სესიამ განიხილა სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და მისი განვითარების პერსპექტივების საკითხი. სკუპშჩინის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი იუგოსლავიის მშრომელებს მიზნად უსახავენ სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნას და მის ტექნიკურ რეკონსტრუქციას. სკუპშჩინამ დასახა მნიშვნელოვნად გადიდდეს საზოგადოებრივი კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობაში, გარდა ამისა, დასახულია განხორციელდეს მთელი რიგი ჰიდრომელიორაციული ღონისძიებანი, კერძოდ, ვოევოდინაში, რომელიც იუგოსლავიის ბეღელს წარმოადგენს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ხალხებს გულწრფელად უხარიათ მოძმე იუგოსლავი ხალხის წარმატებანი ახალი ცხოვრების მშენებლობაში. საბჭოთა ადამიანები გულწრფელ მზადყოფნას იჩენენ ყოველნაირად შეუწყონ ხელი და უანგარო დახმარება გაუწიონ იუგოსლავიის მშრომელებს.

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის განმტკიცებისაკენ საბჭოთა ხალხისა და იუგოსლავი ხალხის მისწრაფების გამოხატულება იყო ბელგრადისა და მოსკოვის დეკლარაციები, რომლებიც ხელმოწერილ იქნა 1955 და 1956 წლებში. ამას მოწმობს აგრეთვე ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მთავრობის დელეგაციისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შეხვედრის შესახებ, რაც გაიმართა რუმინეთში 1957 წლის 1-2 აგვისტოს.

იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკა. სურათზე: ქალაქი სკოპლე.

იუგოსლავი ხალხის სახელოვანი დღესასწაულის დღეს საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობის განვითარების პროგრამა წარმატებით ხორციელდება. ვითარდება და სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ეკონომიური ურთიერთობა. საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის სავაჭრო შეთანხმება, რომელიც მიმდინარე წლის გაზაფხულზე დაიდო, ითვალისწინებს მის შემდგომ ზრდას 1958-1960 წლებში.

იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკაში მთელი რიგი სამრეწველო ობიექტების მშენებლობის შესახებ წინათ ხელმოწერილ შეთანხმებათა საფუძველზე მიმდინარე წლის ივლისში მოსკოვში წარმატებით დამთავრდა სამმხრივი მოლაპარაკება სსრ კავშირს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის, რის შედეგადაც დაზუსტდა ამ ობიექტების მშენებლობის ვადები. ხელმოწერილი დოკუმენტები ითვალისწინებენ სამი ქვეყნის თანამშრომლობას იუგოსლავიის ტერიტორიაზე ალუმინის ქარხნებისა და მათთვის ელექტროსადგურების მშენებლობაში, ბოქსიტების მოპოვების გაფართოებაში და ა. შ. საბჭოთა კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა იუგოსლავიას აძლევენ საჭირო კრედიტს იმ პირობით, რომ ამ კრედიტზე დავალიანება დაიფაროს იუგოსლავიის ახლად აშენებულ საწარმოთა პროდუქციის მიწოდებით.

როგორც ხაზგასმით აღნიშნავს იუგოსლავიის პრესა, სასოფლო სამეურნეო წარმოების ამაღლობის პროგრამის განხორციელებისათვის, რომელიც იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ დასახა, დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის შეთანხმებას იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის მონაწილეობით დაპროექტებულ იქნას, აშენდეს და მოეწყოს აზოტოვანი სასუქებისა და სუპერფოსფატის ქარხნები, აგრეთვე თბოელექტროცენტრალი ამ საწარმოთათვის მომსახურების გასაწევად.

ურთიერთ ხელსაყრელ პირობებში ვითარდება აგრეთვე იუგოსლავიის ეკონომიური თანამშრომლობა ჩეხოსლოვაკიასთან, პოლონეთთან, უნგრეთთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან.

იუგოსლავიის მშრომელები ენთუზიაზმით შრომობენ იმისათვის, რომ გარდაქმნან თავიანთი ქვეყანა სოციალიზმის პრინციპების საფუძველზე. ამ კეთილშობილური მიზნების განსახორციელებლად მათ ესაჭიროებათ მშვიდობა. მშვიდობისათვის ბრძოლაში იუგოსლავიის ხალხები იჩენენ მზადყოფნას ითანამშრომლონ მთელ პროგრესულ მშვიდობისმოყვარე ძალებთან. აქტიურად იბრძვის რა მშვიდობისათვის, იუგოსლავი ხალხი გამოდის აგრესიული ბლოკების წინააღმდეგ, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, მხარს უჭერს გერმანელი ხალხის დემოკრატიულ მშვიდობისმოყვარე ძალებს. მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იგი მოითხოვს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი უფლებების აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

აღნიშნავენ რა იუგოსლავიის სახელოვან ეროვნულ დღესასწაულს—რესპუბლიკის დღეს, საბჭოთა ადამიანები მხურვალე სალამს უძღვნიან მოძმე იუგოსლავ ხალხს, რომელთანაც ჩვენ გვაერთიანებს მარადიული და ურღვევი მეგობრობა, რაც გამოიწრთო საერთო მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში ანტიფაშისტური განმათავისუფლებელი ომის ველებზე, გვაერთიანებს მიზნების ერთობა მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ბ. პონომარიოვი.

პროგრესული ძალების მძლავრი ერთიანობა

გამოხმაურება უცხოეთში სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციაზე და მშვიდობის მანიფესტზე

ჩინეთი

პეკინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი, რომელიც 64 კომუნისტური და მუშათა პარტიის წარმომადგენელთა თათბირმა მიიღო, კვლავ ჩინეთის პრესისა და საზოგადოებრიობის ფართო წრეების ყურადღების ცენტრშია.

გაზეთი „დაგუნბაო“ მოწინავე სტატიაში „მშვიდობა მსოფლიოს“ დღეს წერს, რომ ეს დოკუმენტები ახალი ფურცელია საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში, უდიდესი მოწოდებაა მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესისადმი.

გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ იზრდება მშვიდობის ძალები, რომლებსაც უნარი შესწევთ წინაღუდგნენ ომის ძალებს. მაგრამ, აღნიშნავს გაზეთი, ომის საფრთხე ჯერ კიდევ ემუქრება კაცობრიობას, რადგან იმპერიალისტებმა ვერ ისწავლეს ჭკუა თავიანთი დამარცხებით ეგვიპტეში, სირიასა და მსოფლიოს სხვა რაიონებში. ჩვენ მტკიცედ გვწამს, წერს გაზეთი, რომ ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი გამოეხმაურება მშვიდობის მანიფესტის მოწოდებას და საბოლოოდ ჩაშლის იმპერიალისტთა სამხარ გეგმებს.

ჩინელი ხალხი, წერს გაზეთი „გუანმინჟიბაო“ მოწინავე სტატიაში „მტკიცედ დავიცვათ მშვიდობა“, სოციალისტურ მშენებლობას ეწევა და საჭიროებს მშვიდობიან ვითარებას, მთელი მსოფლიოს მშვიდობას. მშვიდობის მანიფესტი, რომელსაც ხელს აწერს ჩინეთის კომუნისტური პარტია, გამოხატავს ჩვენი ქვეყნის 600-მილიონიანი მოსახლეობის ნებას.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა

ბერლინი, 26 ნოემბერი. (საკდესი). სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი კვლავ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესისა და საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. გაზეთები ბეჭდავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა განცხადებებს, რომლებიც მხურვალედ მიესალმებიან ამ ისტორიულ დოკუმენტებს.

გაზეთ „დერ მორგენში“ (ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის ორგანო) დაბეჭდილია სარედაქციო სტატია, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნულია, რომ მშვიდობის მანიფესტი გამსჭვალულია ჰუმანიზმის სულისკვეთებით. ჩვენ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში და ჩვენი ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, ნათქვამია სტატიაში, მხურვალედ ვუჭერთ მხარს ამ მანიფესტს და ვაცხადებთ: ომი შეიძლება თავიდან ავიცილოთ, მშვიდობა შეიძლება დავიცვათ და განვამტკიცოთ, თუ ყველა, ვისთვისაც ძვირფასია იგი, ნათლად შეიგნებს, რომ მათი წმიდა მოვალეობაა შემდგომ გააძლიერონ ბრძოლა მშვიდობისათვის.

რუმინეთი

ბუქარესტი, 26 ნოემბერი. (საკდესი). რუმინეთში მიმდინარეობს კრებები, რომლებზეც მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა თათბირის დეკლარაციას და მშვიდობის მანიფესტს.

გაზეთმა „სკინტეიამ“ ამ ისტორიულ დოკუმენტებს მიუძღვნა მოწინავე სტატია სათაურით „მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისშძლე დროშით“.

მოსკოვის თათბირმა, აღნიშნავს გაზეთი, უფრო ძლიერ ვიდრე ოდესმე, ცხადყო მთელი მსოფლიოს კომუნისტური და მუშათა პარტიების განუხრელად მზარდი ძლიერება, მათი ურყევი ერთიანობა მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის პოლიტიკური და იდეოლოგიური აღმავლობა. გაზეთი წერს, რომ, მტკიცედ ეყრდნობა რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას და არის რა ამ მოძღვრების შემოქმედებითი განვითარების მაგალითი, დეკლარაცია აღრმავებს რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის, მშვიდობისათვის ბრძოლის თეორიისა და პრაქტიკის ძირითად, საყოველთაო მნიშვნელობის მქონე პრობლემებს.

„სკინტეია“ შემდეგ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ერთიანობა და დარაზმულობა საბჭოთა კავშირის მეთაურობით სოციალისტური ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის გარანტიაა და სწორედ ამიტომ ამ ერთიანობის შემდგომი განმტკიცება შეესაბამება თვითეული ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს.

სტატიის დასასრულს ნათქვამია, რომ დეკლარაცია და მშვიდობის მანიფესტი სახავენ ახალ პერსპექტივებს და თავიანთი კაშკაშა შუქით გზას უნათებენ ყველა ხალხის ბრძოლას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის.

ომანის ხალხი განაგრძობს ბრძოლას

კაირო, 26 ნოემბერი. (საკდესი). ომანის ეროვნული წინააღმდეგობის ძალებმა კონტრიერიში მიიტანეს ინგლისის ჯარების წინააღმდეგ ჯებელ ალ-აჰდარის რაიონში. ამას იუწყება დეპეშა, რომელიც ომანის წარმომადგენლობამ მიიღო კაიროში.

დეპეშაში ნათქვამია, რომ ომანის პატრიოტულმა ძალებმა იერიში მიიტანეს და ცეცხლი წაუკიდეს ინგლისის ჯარების საწყობს ნაზვის ახლოს, აგრეთვე ჩასაფრდნენ ქალაქ იზკისაკენ მიმავალ გზაზე. მოწინააღმდეგემ მნიშვნელოვანი ზარალი ნახა.

ამავე დროს, როგორც განაცხადა ომანის წარმომადგენელმა კაიროში, ინგლისის სარდლობა კვლავ თავს უყრის საპარაშუტო ჯარებს ჯებელ ალ-აჰდარის რაიონში იმ მიზნით, რომ შეტევითი ოპერაციები მოაწყოს ომანის ეროვნული წინააღმდეგობის ძალების წინააღმდეგ.

თურქეთის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ანკარა, 26 ნოემბერი. (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, დღეს აქ გამოცხადდა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა, რომელიც ადნან მენდერესმა შექმნა. ახალ კაბინეტში პრემიერ-მინისტრია ადნან მენდერესი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეა თევფიკ ილერი, საგარეო საქმეთა მინისტრია ფატინ რიუშტიუ ზორლუ, ეროვნული თავდაცვის მინისტრია შემი ერგინი, შინაგან საქმეთა მინისტრია ნამიკ გედიკი და სხვ.

იაპონიაში აღშფოთებული არიან ამერიკის ხელისუფალთა უკანონო მოქმედების გამო კუნძულ ოკინავაზე

ტოკიო, 26 ნოემბერი. (საკდესი). მთელი იაპონური პრესა დიდი აღშფოთებით ეხმაურება ამერიკის ხელისუფალთა მოქმედებას კუნძულ ოკინავაზე, რომლებმაც უკანონოდ გადააყენეს ქალაქ ნახის მერი სენაგა, რომელიც მათთვის სასურველი არ იყო.

გაზეთი „ასახი“ მოწინავე სტატიაში ამერიკის უმაღლესი კომისრის მოქმედებას ოკინავაზე უწოდებს ნახის მოსახლეობის საარჩევნო უფლებათა „უდიდეს დარღვევას“ და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელსაც „ჩაეფუშა თავზე ხელის გადასმის პოლიტიკის განხორციელების ცდები, ბოლოს სასტიკ ღონისძიებებს მიმართა“. „სავსებით ნათელია, — განაგრძობს „ასახი“, — რომ მერი სენაგა ბისტი იყო კუნძულ ოკინავაზე ამერიკის შეიარაღებული ძალების თვალში, მაგრამ რამდენადაც იგი ნახის მოსახლეობამ აირჩია, ბუნებრივია, რომ მისი გადაყენების საკითხი უნდა გადაჭრილიყო ამომრჩეველთა ნების შესაბამისად და არა ამერიკის კომისრის ბრძანების გაცემის გზით“.

ჯერ არასოდეს, — წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ჯაპან ტაიმსი“, — ამერიკელ ხელისუფალთა პრესტიჟი ოკინავაზე ისე არ დაცემულა იაპონიის პრესის თვალში, როგორც ამჟამად.

გაზეთ „იომიურის“ სტატიაში აღნიშნულია, რომ ოკინავაზე ამერიკელ ხელისუფალთა მოქმედება წარმოადგენს ახალი რეპრესიების პოლიტიკის გამოვლინებას, რომელსაც ამერიკის შეერთებული შტატები ოკინავაზე ახორციელებენ.

გაზეთი „მაინიჩი“ აღნიშნავს, რომ სენაგას განდევნა იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ახლა დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებენ ოკინავას, როგორც სამართავი ყუმბარების ბაზას სსრ კავშირის წინააღმდეგ და ამასთან დაკავშირებით ცდილობენ აღმოფხვრან ყველა დაბრკოლება ოკინავაზე ამერიკის სამხედრო ბაზების ქსელის გაფართოების გზაზე.

იაპონია. ქალაქ კიოტოში ამას წინათ გაიმართა უტილნედლეულის შემგროვებელთა დემონსტრაცია. ისინი პროტესტს აცხადებდნენ ჩაბარებული უტილნედლეულის ფასების შემცირების წინააღმდეგ.

სურათზე: უტილნედლეულის შემგროვებელთა დემონსტრაცია.

ფოტო გ. სოლოვიოვისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მოლაპარაკება კულტურული თანამშრომლობის შესახებ

მოსკოვში ჩამოვიდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია უცხო ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარის ე. ავრამოვას მეთაურობით, რათა აწარმოოს მოლაპარაკება 1958 წელს კულტურული თანამშრომლობის შესახებ.

26 ნოემბერს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ უცხო ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის შერეული კომისიის პირველი პლენარული სხდომა. საბჭოთა დელეგაციას მოლაპარაკებაზე მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი განათლების მინისტრი ვ. პ. ელიუტინი.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ კულტურული და მეცნიერული ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის მიმდინარე წელს წარმატებით ვითარდება.

მოლაპარაკების შედეგად შემუშავებული იქნება საბჭოთა კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის 1958 წელს კულტურული თანამშრომლობის გეგმა.

საბჭოთა ქვეყანაში ყოფნის დროს ბულგარეთის დელეგაციის წევრები გაეცნობიან სამეცნიერო, კულტურულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას, სასწავლებლებს, შეხვდებიან მეცნიერებს, მწერლებს, საბჭოთა კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს.

(საკდეპი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XII სესია

პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 26 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკური კომიტეტის გუშინდელ დღის სხდომაზე დასავლეთ ირიანის საკითხზე 19 ქვეყნის რეზოლუციის პროექტის მხარდასაჭერად გამოვიდნენ განის, რუმინეთის, სუდანის, პოლონეთის, ეგვიპტის, ეთიოპიის, ბულგარეთისა და იემენის წარმომადგენლები.

განის წარმომადგენელმა არკჰურსტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა დაუყოვნებლივ გადაიჭრას დასავლეთ ირიანის პრობლემა. ინდონეზიის ნაწილზე ჰოლანდიის კოლონიური ბატონობის განგრძობა, თქვა მან, საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ამ რაიონში.

რუმინეთის წარმომადგენელი ჟ. ივაშკუ მოუწოდებდა მშვიდობიანად გადაჭრან დასავლეთ ირიანის პრობლემა და დააკმაყოფილონ ინდონეზიის კანონიერი უფლებანი მისი ტერიტორიის ნაწილზე. დასავლეთ ირიანის ანექსირებით ჰოლანდიამ უხეშად დაარღვია და არღვევს ინდონეზიის სახელმწიფო სუვერენიტეტს.

სუდანის დელეგატმა ი. ოსმანმა მკვეთრად გააკრიტიკა ჰოლანდიისა და ავსტრალიის პოზიცია, რომლებიც ილაშქრებენ დასავლეთ ირიანის საკითხის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკების წინააღმდეგ. უხსოვარი დროიდან, თქვა მან, დასავლეთი ირიანი წარმოადგენს ინდონეზიის განუყოფელ ნაწილს და ვერავითარი იურიდიული უსაფუძვლო მოსაზრება ვერ შეცვლის ამ მდგომარეობას.

დასავლეთ ირიანის საკითხის განხილვამ, განაცხადა პოლონეთის დელეგატმა ა. კრაევსკიმ, ცხადყო, რომ ეს საკითხი სცილდება ორი სახელმწიფოს დავის ფარგლებს. დასავლეთ ირიანის საკითხი გახდა არა მარტო აზიის, არამედ მთელი მსოფლიოს საზრუნავი საგანი.

დასავლეთ ირიანში ჰოლანდიის კოლონიური რეჟიმის წინააღმდეგ მზარდი პარტიზანული მოძრაობის მაგალითით პოლონეთის დელეგატმა ცხადყო კოლონიურ სახელმწიფოთა წარმომადგენლების მტკიცების უაზრობა, თითქოს დასავლეთ ირიანის ხალხს არა სურს ინდონეზიასთან შეერთება.

ეგვიპტის დელეგატმა ომარ ლუტფიმ განაცხადა, რომ ჰოლანდიას არავითარი საფუძველი არა აქვს დაიმოწმოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული რაიმე ვალდებულება დასავლეთ ირიანის მიმართ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების არც ერთი პარაგრაფი, განაგრძო მან, არაფერს ამბობს იმაზე, რომ ამა თუ იმ მხარეს შეუძლია სუვერენიტეტის პრეტენზია იქონიოს იმ ტერიტორიისადმი, რომელიც მას არ ეკუთვნის.

ბულგარეთის დელეგატმა მ. ტარაბანოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა მუდამ უჭერდა მხარს ყოველგვარ მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის. ამიტომ ბულგარეთი დიდი თანაგრძნობით ეპყრობა ინდონეზიის ღონისძიებებს საბოლოოდ განთავისუფლდეს კოლონიური ექსპლოატაციისაგან.

საფრანგეთისა და ისრაელის წარმომადგენლებმა მხარი დაუჭირეს ჰოლანდიის პოზიციას.

შვეციისა და ურუგვაის დელეგატებმა ეჭვი გამოთქვეს, სასარგებლო იქნება თუ არა 19 ქვეყნის მიერ წარმოდგენილი რეზოლუციის პროექტი.

მაროკოელმა პარტიზანებმა დაიკავეს მთავარი ქალაქი იფნი

ლონდონი, 26 ნოემბერი. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი რაბატიდან იუწყება:

როგორც გაზეთი „ალ ალამი“ იუწყება, მაროკოელმა პარტიზანებმა, რომელნიც ესპანელ კოლონიზატორებს აუჯანყდნენ, დაიპყრეს იფნი — მაროკოში ესპანეთის კოლონიური სამფლობელო იფნის მთავარი ქალაქი.

ცნობაში ნათქვამია, რომ პარტიზანებმა დაიპყრეს აგრეთვე აეროდრომი სიდი-იფნი.

მოკლედ

◉ ირანის მეჯლისმა ხმას უმრავლესობით მოიწონა შემაჯამებელი დოკუმენტები სსრ კავშირისა და ირანის სახელმწიფო საზღვრის დემარკაციისა და რედემარკაციის შესახებ, რომლებიც შედგენილია სსრ კავშირსა და ირანს შორის 1954 წლის 2 დეკემბრის შეთანხმების შესაბამისად სასაზღვრო და ფინანსური საკითხების მოწესრიგების შესახებ.

◉ აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კონფერენციის მოწვევის მოსამზადებელი კომიტეტის გადაწყვეტილებით 1 დეკემბრიდან აზიისა და აფრიკის ქვეყნებში მოეწყობა აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კვირეული. გაიმართება მასობრივი ღონისძიებანი, რომლებიც პროპაგანდას გაუწევენ ხალხთა სოლიდარობისა და პოლიტიკურ, კულტურულ და სოციალურ დარგებში მათი თანამშრომლობის იდეებს.

რვა მილიონი წლის წინათ

ნამარხ ხერხემლიანთა საინტერესო აღმოჩენა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ნამარხ მაწოვართა საძიებო ექსპედიცია, რომელსაც ხელმძღვანელობდა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი ლ. გაბუნია, მიმდინარე წლის ზაფხულში და შემოდგომაზე გათხრებს აწარმოებდა ჩრდილოეთ კავკასიაში (მდინარე ყუბანის ნაპირებზე) და სამხრეთ საქართველოში (ადიგენის რაიონში). ექსპედიციამ მეტად საინტერესო მასალა დააგროვა.



ჩრდილოეთ კავკასიის შუამიოცენური დროის (გეოლოგიური ეპოქა, რომელიც ჩვენგან დაშორებულია 7-8 მილიონი წლით) ქანებში ნაპოვნია თავისებური ბუმბერაზი ღორის მაგვარი ცხოველის თავის ქალა (დაახლოებით 80 სანტიმეტრი სიგრძისა), რომელსაც შუბლზე რქის მსგავსად განვითარებული აქვს ძვლის დიდი გამონაზარდი. ლ. გაბუნიას აზრით, ეს უცნაური ცხოველი ნამარხ ღორისმაგვართა დღემდე უცნობი ახალი ქვეოჯახის წარმომადგენელი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ არსად დედამიწის ზურგზე დღემდე ამ „რქოსანი“ ღორის მაგვარი ცხოველის ნაშთი არ ყოფილა ნაპოვნი. ამ ადგილებშივე ნახეს ნაშთები მეტად თავისებური არქაული ირმისა, რომელიც უთუოდ დღემდე უცნობ გვარს ეკუთვნის. ამ ირმის თვითეული რქის ფუძეს ხუთი რადიალურად განლაგებული გამონაზარდი აქვს. საინტერესოა აგრეთვე ნაშთები გადაშენებული ხორთუმიანის — პლატიბელოდონტიუსისა (მისი ნაშთები უკვე ნაპოვნია ინდოეთში), რომელსაც ჰქონდა ნიჩბისებური ქვედა ეშვები, აგრეთვე მსგავსი მტაცებლის ყბა.

სამხრეთ საქართველოში, სოფელ ბენარის მახლობლად ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა ოლიგოცენურ დროს (დაახლოებით 12-15 მილიონი წლის წინათ) დალექილ შრეებში, სადაც აღმოაჩინა სპილოს ოდენა ბუმბერაზი მარტორქის, ღორისმაგვართა წარმომადგენლების და სხვა ჩლიქოსნების ნაშთები, აგრეთვე ხორთუმიანებისა და მტაცებლების ნაშთები, ვეებერთელა კუს (დაახლოებით 2 მეტრი სიგრძისა) ბაკნის ნაწილები და სხვ. უნდა ითქვას, რომ ხორთუმიანის ნაშთი უძველესია ევრაზიის ტერიტორიაზე. საერთოდ ბენარის მთელი ფაუნა უძველესია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის ტერიტორიაზე და ერთადერთია უდიდეს სივრცეზე ცენტრალურ აზიასა და ცენტრალურ ევროპას შუა.

ეს აღმოჩენა შუქსა ჰფენს კავკასიის ხერხემლიანთა ფაუნის ისტორიის უძველეს პერიოდს, იგი მოწმობს ამ ფაუნის დიდ მრავალფეროვნებასა და თავისებურებას. ლ. გაბუნიას აზრით, ზოგიერთ ახალ მონაპოვარს დიდი მნიშვნელობა აქვს გეოლოგიისთვისაც.

• • •

სურათზე: ღორისმაგვარი ცხოველის თავი, რომელიც ნამარხი ნაშთების საფუძველზე აღადგინა ლ. გაბუნიამ (ნახატი მისივე).

ტურისტული რუკა «კავკასია»

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოვიდა ტურისტული რუკა „კავკასია“. რუკას დართული აქვს ახსნაგანმარტებითი ტექსტი, რომელშიც მოცემულია მოკლე ცნობები ისტორიული ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების შესახებ. მასში შეტანილია ცნობები რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ჩაჩნეთ-ინგუშეთის, დაღისტნის, ყაბარდო-ბალყარეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის სს რესპუბლიკების ტერიტორიებზე არსებულ ისტორიულ ძეგლებსა და ღირსშესანიშნავ ადგილებზე.



ტურისტული რუკა გამოცემულია 15.000 ეგზემპლარი ტირაჟით.

სსრ კავშირის პირველობაზე

ლენინგრადი. 26 ნოემბერი. (სპეც. კორ.). სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება კლასიკურ ჭიდაობაში დასასრულს უახლოვდება.

საქართველოს მოჭიდავეთა გუნდი დღეისათვის მეოთხე-მეხუთე ადგილზეა. პირად ასპარეზობაში წარმატებით იბრძვიან ო. ეგაძე, რ. აბაშიძე, ა. ქორიძე და მ. ღუდუშაური.

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ვილნიუსში გრძელდება ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატის დასკვნითი ასპარეზობა. მეექვსე ტურში საქართველოს წარმომადგენლებმა ნ. გაფრინდაშვილმა და ე. კაკაბაძემ უარეს მდგომარეობაში გადადეს პარტიები.

ექვსი ტურის შემდეგ წინ არიან ვ. ბორისენკო (4,5 ქულა) და ს. როოტარე (4 ქულა).

„პახტაკორის“ სტადიონზე

ტაშკენტი, 27 ნოემბერი. დაიწყო „ბ“ კლასის ზონებში გამარჯვებულთა ფინალური ასპარეზობის მეორე წრე. დღეს „პახტაკორის“ სტადიონზე გაიმართა მორიგი შეხვედრა სტანისლავის „სპარტაკისა“ და თბილისის სკოვ-ს გუნდებს შორის.

ანგარიში თბილისელებმა გახსნეს.

სტანისლაველებმა მეორე ტაიმი მაღალი ტემპით დაიწყეს და პირველ 10 წუთში მოწინააღმდეგის კარში 2 ბურთი გაიტანეს.

მძაფრი ბრძოლა დამთავრდა სტანისლავის „სპარტაკის“ გამარჯვებით ანგარიშით 2 : 1.

ამხანაგური მატჩი

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა „ბ“ კლასის პირველი ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური მატჩი. შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1 : 1.

რედაქტორის მოადგილე
დ. სტურუა.

ყველას შეუძლია მოიგოს 100.000 მანეთი!

სახელმწიფო 3%-იან შინაგან მოგებიან სესხზე ყოველწლიურად ეწყობა მოგებათა ექვსი ძირითადი და ერთი დამატებითი ტირაჟი.

მოგებათა მორიგი მეთერთმეტე დამატებითი ტირაჟი გაიმართება 1958 წლის 30 სექტემბერს.

ამ ტირაჟში გარდა **50 000, 25.000, 10 000, 5.000, 1.000** და **400** მანეთიანი მოგებებისა, გათამაშდება აგრეთვე **100.000**-მანეთიანი მოგებანი.

მეთერთმეტე დამატებით ტირაჟში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ის ობლიგაციები, რომლებსაც თან ახლავს № 11 და ყველა მომდევნო ტალონი.

№ 11 ტალონიან ობლიგაციებს შემნახველი სალაროები ყიდიან 1958 წლის 1 იანვრამდე. 1958 წლის 1 იანვრიდან გაყიდულ ობლიგაციებს № 11 ტალონი აღარ ექნება.

სესხის ობლიგაციებს ყიდიან და თავისუფლად ყიდულობენ შემნახველი სალაროები.

შეიძინეთ სახელმწიფო 3%-იანი შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციები!

საქართველოს სსრ სახელმწიფო შრომის შემნახველი სალაროებისა და სახკრედიტის სამმართველო.

თბილისის სახელმწიფო ცირკი

ყოველდღე

დიდი საცირკო წარმოდგენა

მონაწილეობენ საბჭოთა ცირკის საუკეთესო ოსტატები

დასაწყისი საღ. 8 ს. 30 წ.

კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან მეცნიერებათა კანდიდატი) თანამდებობაზე უფროსი ასაკის ბავშვთა პათოლოგიის განყოფილებაში.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს: განცხადება, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ავტობიოგრაფია, საბუთები უმაღლესი განათლების, სამეცნიერო ხარისხისა და წოდების შესახებ, საქმიანი დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო ნაშრომთა სია, შრომათა თითო ეგზემპლარი და რეცენზიები მათზე.

კონკურსის ვადაა 30 დღე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან. მისამართი — ქ. თბილისი, ლენინის ქუჩა № 38, დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ინსტიტუტი.

თბილისის „დინამოს“ სტადიონი

28 ნოემბერს

ფეხბურთი

ამხანაგური შეხვედრა

„ბ“ კლასის მე-2 ნაკრები გუნდი— ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველო (თბილისი)

საწარმოო კოლექტივებს შორის სსრ კავშირის თასის მფლობელი.

დასაწყისი 3 საათზე.

მეუღლე მარიამ, შვილები ვერა, ნორა, ეთერ, სიძეები დ. კევლიშვილი, ვ. ბოჭორიშვილი იუწყებიან

ლევან ონისიმეს-ძე ვაჩეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, სოფელ მარანში (აბაშის რ.).

მოქალაქე ზაქარია ლავრენტის-ძე შველიძემ, მცხოვრებმა ლისის ქ. № 2, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე **გულნარა ერმალოზის ასულ პაპავა-შველიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **არონ შალომის-ძე გუნდიაშვილმა**, მცხოვრებმა თათრის ქ. № 38, აღძრა საქმე ბაჩანას ქ. № 12 მცხოვრებ მოქალაქე **თამარ ხაიმის ასულ გუნდიაშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლო.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბავშვთა რესპუბლიკური გაერთიანებული კლინიკური საავადმყოფო იუწყება თანამშრომლის

ოლღა იასონის ასულ ბაკურაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XI, 4 ს. ფასანაურის ქ. № 4.

შვილები მინა, ვალერიან, ბაბილინა, რძლები ოლღა, თამარ შვილებით იუწყებიან

პელაგია ნონიას ასულ კერესელიძე-გოშაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-XI, 7 ს. გამოსვენება 30-XI, 4 ს. აწყურის ქ. № 4.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის სოციალისტური სოფლის მეურნეობის წამოწყებათა ორგანიზაციის კათედრის თანამშრომლები იუწყებიან

ტიტიკო კირილეს-ძე ჯაფარიძის

გარდაცვალებას.

შვილები ვასილ, სერაფიონ, მარგარიტა, რძლები თამარ, სოფიო, ლეილა, სიძე ე. გოგავა ოჯახებით იუწყებიან

ალთი სპირიდონის ასულ გულდედავა-კოპალეიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XI სოფელ იანეთში (სამტრედიის რ.).

ქ. თბილისის ლუდის ქარხანა № 3-ის მუშა-მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან

ნოე ევსევის-ძე საყვარელიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29-XI, 8 ს. გამოსვენება 30-XI, 3 ს. გრიბოედოვის ქ. № 33.

მეუღლე ლოლა, დები პაშა, ოლია, ეკატერინე, პელაგია, ცაცა, ძმა სერგო, რძლები მინადორა, თამარ ოჯახებით იუწყებიან

ვალერიან სპირიდონის-ძე ვარდოსანიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 4 ს. ქუთაისში, გამოსვენება ურიცკის ქ. № 35.

შვილი ნიკოლოზ, რძლები ვარინკა, მარიამ ვაჭარაძეები, სიძე ვ. ნიქაბაძე ოჯახებით იუწყებიან

მაშო ექვთიმეს ასულ ვაჭარაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, 4 ს. სოფელ ზედა საქარაში (ზესტაფონის რ.).

მშრომელთა დეპუტატების სტალინის რაისაბჭოს აღმასკომის მილიციის განყოფილების თანამშრომლები იუწყებიან

ომონია იოსების ასულ ლორთქიფანიძე-მაღულარიას

გარდაცვალებას. გამოსვენება 28-XI, 3 ს. კოოპერაციის ქ. № 12.

მეუღლე ეკატერინე, შვილები გულო, ლილი, იუზა, ძმა არტევან, და ნადია, რძლები აგრაფინა, ეთერ, სიძეები დ. ვეფხვაძე, ო. კიკნაძე ოჯახებით იუწყებიან

აპოლონ თალხანის-ძე კვინიკაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, სოფელ ხემაღალში (ორჯონიკიძის რ.).

მეუღლე ქრისტინე, შვილები ეფროსინე, ოლღა, ჟოჟია, ნინო, აკაკი, შურა, რძალი მარო, ვერა, ტატიანა; ბენია, თამარ, გელა ბანძელაძეები ოჯახებით იუწყებიან

ქრისტეფორე დიმიტრის-ძე ბანძელაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 29-XI, სოფელ დერჩში (ქუთაისის რ.).

მეუღლე ეშა, შვილები კუკური, ალიოშა, ნიკოლოზ, შურა, დინარა, ფაცია, ძმები სანდრო, ოთარ, და ცაბო ოჯახებით იუწყებიან

ისლამ ივანეს-ძე კუჭავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1-XII, სოფელ პირველ ხორგაში (ხობის რ.).

მეუღლე ქრისტინე, შვილი თინათინ, ძმა გალაქტიონ, რძლები ლიზა, თამარ საკანდელიძეები ოჯახებით იუწყებიან

ალექსანდრე ივანეს-ძე საკანდელიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 30-XI, სოფელ ბზვანში (ვანის რ.).

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88. განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის — 3 16-90, სოფლის მეურნეობის — 3 20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელის, პრესის მიმოხილვისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი ინფორმაციის — 3 32-46, უცხოეთის ინფორმაციის — 3-80 83, წერილების — 3-73 24, განცხადებების მიღების — 3-64-42, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 03684

საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.